სპორტიელი

სპორტული გაზეთი | სამშაბათი 13 ივლისი 2004 №159 (2180) | ფასი 50 თეთრი

ეროვნული ბიბლიოთეკა

ქართული ევროცდა

ბალერი აბულაძის ფოტო

დღეს თბილისის „დინამო“ ბელარუსში ჩაფრინდება, ზეგ კი ბორისოვოს ბატეს ესტუმრება — ჩვენი საკლუბო ფლაგმანი ახალგაზრდა მწვრთნელითა და მეტწილად ახალგაზრდა ფეხბურთელებით შეერკინება ასევე ახალგაზრდულ ბატეს. გახსოვთ, რა მოხდა 2001 წელს? 0:4 ბატესგან და ახლა „დინამომ“ იმ წყენისა უნდა მოჰკითხოს ბორისოვოელებს.

დღეს საქართველოს ჩემპიონი „ვიტ ჯორჯია“ ერთხელაც ივარჯიშებს და ხვალ ცხრა მთა-ზღვის იქიდან ჩამოსულ „ჰაფნარს“ დაუხვდება, ნახევრადპროფესიულ ფარერულ გუნდს და ვიტელთა მწვრთნელი მერაბ კოჭლაშვილი ამბობს, ფარერელებს თბილისში უნდა მოვუთავოთ საქმეო.

დღესვე „თბილისი“ საგანგებო პრესკონფერენციას გამართავს — ევროსარბიელის ზეგინდელ დებიუტანტებს მეტოქედ აზერბაიჯანული „შამქირი“ ელით.

მოკლედ, ქართულ გუნდებს სეზონი უკვე ეწყებათ, ხოლო ეროვნულ ჩემპიონატში რამდენი გუნდი ითამაშებს, ჯერაც დანისლულია...



ვაჟა დოლიძეს ფოტო





დაქოქე, რაიმონ!

საფრანგეთის ფეხბურთის ფედერაციამ ევროჩემპიონატის დასრულებიდან ერთი კვირის თავზე ჟაკ სანტინის შემცვლელი მოძებნა. მწვრთნელობის კანდიდატებად ჟან ტიგანას, ლორან ბლანს და 21-წლამდელთა ნაკრების თავკაც რაიმონ დომენეკს ასახელებდნენ. ფედერაციის პრეზიდენტმა კლოდ სიმონემ 52 წლის დომენეკი არჩია, რომელსაც ახალგაზრდულ გუნდში მუშაობის ათწლიანი გამოცდილება აქვს. მის ხელში გაუვლიათ ზიდანს, ანრის, ტრეზეგეს, დიუგარის, სილვესტრს, ლუი საას და სხვა ცნობილ ფეხბურთელებს. დომენეკი თავად ღონიერი და ხისტი ფეხბურთელი ყოფილა. მას საფრანგეთის ჩამქრალი ნაკრების ხელახლა დაქოქვა მოუწევს.

UEFA CUP 2004-2005 UEFA CUP
პირველი საკვალიფიკაციო ეტაპი. პირველი მატჩი

ბორისოვო. 15 ივლისი. საძალაძე სტადიონი. 18.30 საათი

ბატე - დინამო

მსაჯები: სტენ კალდმა, ედუარდ როზოვი, დმიტრი ვინოგრადოვი (ყველა ესტონეთი)

დღეს თბილისის „დინამო" ჩარტერული რეისით მინსკში გაფრინდება, საიდანაც ბორისოვო ახლოსაა — „დინამომ" ეს მარშრუტი სამი წლის წინაც გაიარა, მაშინდელი 0:4 ძნელად დასავიწყებელი ამბავია, მაგრამ ახლა „დინამოს" რევანშის ჯერი უნდა იყოს.

გუშინ გია გეგუჩაძის განვრთნილმა „დინამომ" დიმის ბაზაზე საღამოს ივარჯიშა. სანამ ფეხბურთელები მინდორზე გავიდოდნენ, ჟურნალისტებთან სალაპარაკოდ მოიცალეს, ხოლო ვარჯიში დახურული გახლდათ. ბელარუსში გამგზავრების წინ დინამოელებმა გვითხრეს, რომ...

დინამო იმედზეა



გუშინ დელეგაციის ფოტო

გიორგი შაშიაშვილი:

— სამი წლის წინ ბორისოვოში ტაიმზე მეტი ცხრა კაცით ვითამაშეთ — ორი ფეხბურთელი გაგვიძევეს და მსაჯობით უკმაყოფილონი ვიყავით. მაგრამ ახლანდელი „დინამო" და ბატე სულ სხვა გუნდები არიან. შანსები კი ალბათ თანაბარია.

— „დინამო" ახლა უფრო ძლიერია, ვიდრე სამი წლის წინ?

— შესაძლოა, ასეც იყოს. თუმც ყველაფერს შედეგი გვიჩვენებს.

— ბატესთან დაცვის მარჯვენა ფლანგზე ითამაშებ?

— მთელი შეკრება ამ პოზიციაზე ვითამაშე, ამ ამპლუისთვის მამზადებდნენ.

ბორის გონჩაროვი:

— „დინამოსთან" შეწყობა არ გამიჭირდა. შეკრებაზე საკმაოდ ძლიერ გუნდებს ვითამაშეთ და ძლიერი წინააღმდეგობაც გავუწიეთ.

— შეკრების შემდეგ მყისვე ბატეს ეთამაშებით, ბელარუსში კი გახურებული ჩემპიონატია...

— ეს ბატეს უპირატესობას აძლევს, მაგრამ „დინამო" ბატეზე მაღალი დონის კლუბია და შედეგიც ამან უნდა განაპირობოს.

ლადო ახალაია:

— ბატეს დამარცხების კარგი შანსი გვაქვს და მთავარია, რომ ეს შანსი გამოვიყენოთ. არ ვიცი, ბატე რა გუნდია, მისი თამაში არ გვინახავს, მაგრამ უნდა გავიმარჯვოთ.

— პირველი თამაში რომ ბორისოვოშია, ეს „დინამოსთვის" მომგებიანია?

— რა თქმა უნდა, ეს ჩვენთვის კარგია, საპასუხო მატჩისთვის უკეთესად მოვემზადებით.

— „დინამოს" სხვა რა კოზირი აქვს ბატესთან?

— უნდა ვიბრძოლოთ და მოვიგოთ — ეს არის ჩვენი კოზირი.

დავით თავართქილაძე

ბატეს მოვუგებთ და ტიტანტლენ ლამაზად წავალ

ბაბური ჯიბილაძის ფოტო

სამთვიანი პაუზის შემდეგ დინამოელებს დაუბრუნდათ ლადო ბურდული, ვინც ტრავმის შემდეგ 90 წუთი სრულად ახლახანლა ითამაშა დანიურ „ბრონდბიუსთან". ლადოს გერმანულ შეკრებასა და „ბატესთან" მომავალ შეხვედრაზე ვესაუბრეთ...

— „ბრონდბიუსთან" მატჩი ჩემთვის განსაკუთრებული იყო — 90 წუთი ბოლოს როდის ვითამაშე, აღარც მახსოვს.

— ამხელა შესვენების შემდეგ არ გაგიჭირდა?

— მგონი, ურიგოდ არ მითამაშია, განსაკუთრებით პირველ ტაიმში. მეორე ნახევარშიც მონდომებული ვიყავი, მაგრამ ბოლოს მაინც დავიღალე.

— შეკრებით კმაყოფილი ხარ?

— კმაყოფილი ვარ თუნდაც იმიტომ, რომ თანაგუნდელებისგან ძალიან ჩამორჩენილი ვიყავი, ახლა კი მათ ნელ-ნელა ვეწევი. ფეხის ტკივილმაც გამიარა და საკუთარი ძალის რწმენაც მიბრუნდება.

— უახლოეს მატჩებში, თუნდაც ბატესთან, სრულად შეძლებ ფორმის აღდგენას?

— ფორმის აღდგენას ალბათ მოვახერხებ, მაგრამ ვითამაშებ თუ არა, ეს მწვრთნელის გადასაწყვეტია.

— შენ ხომ ძირითადის მოთამაშე ხარ...

— ახლა ესეც გასარკვევია, ვინაა ძირითადის მოთამაშე. კონკურენცია დიდია და ვნახოთ, ვითამაშებ თუ არა. თუ მენდობიან, თავს არ დავზოგავ. ყველაფერი მაინც ჩემზე იქნება დამოკიდებული.

— ბატესთან ურთულესი მატჩები გელით, როგორ ფიქრობ, ვინ მოიგებს?

— რატომღაც დარწმუნებული ვარ, რომ ბატეს გავაგდებთ. იაშვილი, შაშიაშვილი, კვირკველია... მოკლედ, არიან ფეხბურთელები, რომელთაც შეუძლიათ, თამაშზე დიდი გავლენა მოახდინონ. სამი წლის წინ ბელარუსებს გაუმართლათ, ახლა ჩვენი ჯერია. „დინამოს" მოგებაში დარწმუნებულიც ვარ.

— ბევრი ლაპარაკია „დინამოდან" შენს წასვლაზე, თან სოლიდური კლუბები სახელდებოდა...

— ბატესთან მატჩამდე არ მინდოდა გუნდის მიტოვება. რაღაც ვარიანტები, თანაც საკმაოდ სერიოზული, ახლაც არსებობს, მაგრამ მხოლოდ უეფას თასის მატჩების შემდეგ ვიფიქრებ კლუბის დატოვებაზე. სხვა გუნდში წასვლაზე ხელი არ ჩამიქნევია, უბრალოდ, ამ ეტაპზე „დინამოს" მიტოვება ულამაზო იქნებოდა.

დავით ერაძე

პროფლიგა გუნდს და სტადიონს ორშაბათს დაითვლის

ბაბური ჯიბილაძის ფოტო

დიმიტრი რამიშვილი: თუ ერთს დავუთმობთ, დანარჩენებიც იგივეს მოითხოვენ

24 ივლისს საქართველოს ჩემპიონატი იწყება. ეს უკვე კარგა ხანია გადაწყვეტილია, თუმც ის, ამ თორმეტგუნდიან უმაღლეს ლიგაში რომელი გუნდები ითამაშებენ, ჯერ კიდევ გაურკვეველია.

გუშინწინ, მაგალითად, უმაღლესში წლეულს დაბრუნებულმა „რუსთავის" ერთ-ერთმა დამფუძნებელმა ლაშა მინდელმა გვითხრა, პროფლიგის მოთხოვნას, ჩემპიონატის დაწყებამდე გუნდებს ანგარიშზე 300 ათასი ლარი ჰქონდეთ, „რუსთავი" ვერ დააკმაყოფილებსო. იქით ზესტაფონის „მეტალურგი" ეკურკურება უმაღლესში ასევე წლეულს დაბრუნებულ წყალტუბოს „სამგურალს" და რაღაც ერთობლივი პროექტის ხარჯზე უმაღლესში ადგილის ეიმედება. კიდევ ის, რომ პროფლიგის კომისიას უკვე ექვსი გუნდის სათამაშო მოედანი დაუწუნებია და სად ითამაშებენ ახალ ჩემპიონატში ეს გუნდები, საკითხავია...

პროფლიგის პრეზიდენტს *დიმიტრი რამიშვილს* კი გუშინ სწორედ ამ კითხვებით მივმართეთ.

— პროფლიგის პოზიცია პრინციპულია და ყველანაირად ვეცდებით ჩვენივე წესკანონების ბოლომდე დაცვას. ყოველ კონკრეტულ შემთხვევას ჩვენი კომპეტენტური კომისია განიხილავს და თავის აზრს პროფლიგის წევრებს მოახსენებს. მერე უკვე ერთად ვიმსჯელებთ, როგორ მოვიქცეთ, რა გავაკეთოთ. „რუსთავთან" დაკავშირებული პრობლემაც ცალკე განიხილება. მოვიდნენ რუსთაველები, არგუმენტებით დაგვარწმუნონ, რომ მათ ჩემპიონატში მონაწილეობისთვის საჭირო ელემენტარული პირობები აქვთ და მერე ვნახოთ — კომისიის აზრს მიოვისმენთ და პროფლიგის უახლოეს კონფერენციაზე მათ საკითხს ყველა ერთად განვიხილავთ. ისე კი, ვიმეორებ, პროფლიგის პოზიცია პრინციპული იქნება და დათმობაზე არავისთან წავა. ერთს თუ დავუთმობთ, მერე დანარჩენი 11 გუნდიც იგივეს მოგვთხოვს. ისე, საკუთარ მომავალზე კლუბმა უნდა იზრუნოს, გამართულად უნდა მუშაობდეს საკლუბო მენეჯმენტი და ახალი ჩემპიონატისთვის მზადებას ნებისმიერი გუნდი გასული ჩემპიონატის დამთავრებისთანავე უნდა იწყებდეს. მთელი ზაფხული რომ არაფერს გააკეთებ, ერთ კვირაში რა უნდა მოასწრო?!

— ზესტაფონის „მეტალურგისა" და წყალტუბოს „სამგურალის" მესვეურებს შევხვდით და ბევრიც ვისაუბრეთ. გვითხრეს, რომ ზესტაფონელებს „სამგურალის" მთლიანად, თავისი ინფრასტრუქტურით და ყველაფრიანად ყიდვა გადაუწყვეტიათ. თუ ასე მოხდება, რა თქმა უნდა, კარგია, ზესტაფონშიც შეძლებული გუნდი იქნება და წყალტუბოშიც. ვნახოთ, ამათ ამბავსაც პროფლიგის უახლოეს კონფერენციაზე განვიხილავთ. თუმც გარწმუნებთ, რომ პროფლიგა უმაღლეს, გინდ პირველ თუ რეგიონალლიგაში ადგილების ყიდვა-გაყიდვას არ დაუშვებს.

— პროფლიგის კომისია საფეხბურთო ინფრასტრუქტურის საკითხებში კომპეტენტურია და მისი აზრი ჩვენთვის მნიშვნელოვანია. ამ კომისიამ შემოწმების პირველი ეტაპი უკვე მოილია, კლუბებს ბევრი შენიშვნაც მისცა და ექვსი სტადიონი ამ ეტაპზე სათამაშოდ უვარგისად ჩათვალა. ახლა კომისია მეორე წრეზე მიდის და ნახავს, მისი შენიშვნები კლუბებმა როგორ გაითვალისწინეს, რა გააკეთეს. კომისიის ანგარიშს პროფლიგა კონფერენციაზე მოისმენს და შესაბამის, პრინციპულ გადაწყვეტილებას მიიღებს. გუნდს, რომელსაც ჩემპიონატის დაწყებამდე ხარისხიანი მოედანი არ იქნება, საშინაო მატჩების სხვა სტადიონებზე ჩატარება იქამდე მოუწევს, ვიდრე მოედანს არ გამოასწორებს — გვიპასუხა დიმიტრი რამიშვილმა.

პროფლიგას კი პრეზიდენტის მიერ რამდენჯერმე ნახსენები კონფერენციის ჩატარება 19 ივლისისთვის აქვს დაგეგმილი. ჩვენც ეს ერთი კვირაც მოვითმინოთ... გასარკვევიც, ალბათ, ორშაბათს გაირკვევა.

ძოგა ინასარიძე



ბადრი ჯობლაძის ფოტო

კოჭლაშვილმა გუნდი თბილისში დაავალდებულა

ულ ჯორჯია ცენტრიდან გოჩაშვილით დაარტყამს

გერმანული შეკრებიდან დაბრუნებული საქართველოს ჩემპიონი „ვიტ ჯორჯია“ ხეირიან დასვენებასაც ვერ ასწრებს, უკვე ხვალ ვეტერინარებს პირველი მატჩის გამართვა უწევთ ჩემპიონთა ლიგი ს საკვალიფიკაციო ეტაპზე ფარერების ჩემპიონ „ჰაფნართან“. გუშინ ვიტელთა მთავარ მწვრთნელს მერაბ კოჭლაშვილს და ერთ-ერთ ყველაზე გამოცდილ ფეხბურთელს ვლადიმერ გოჩაშვილს გერმანულ შეკრებასა და მოახლოებულ მატჩზე ვესაუბრეთ.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ფოტო ფიფიას ბიბლიოთეკიდან

მერაბ კოჭლაშვილი:

— საკმაოდ ნორმალური შეკრება გვქონდა კარგი სავარჯიშო და საცხოვრებელი პირობებით. ჩავატარეთ ოთხი ამხანაგური მატჩი. მართალია, აქედან ერთი იყო ბუნდესლიგის გუნდი — „ჰანოვერი“, მაგრამ დასახულ ამოცანებს თავი გავართვით. მთავარი იყო, თბილისში ტრავმების გარეშე დავბრუნებულიყავით, ვინაიდან ოთხი წამყვანი მოთამაშის წასვლამ ჩვენი სათადარიგო სკამი დაამოკლა. საბედნიეროდ, ტრავმებს გადავურჩით. შეკრება სამჯერადი ვარჯიშებით დავიწყეთ და ორჯერადით დავასრულეთ. ახლა დღეში ერთხელ ვვარჯიშობთ.

— რამდენად მზადაა თქვენი გუნდი?

— მზადყოფნის ხარისხისგანსაზღვრის ორი ხერხი არსებობს, სამედიცინო და სპორტული ტესტები. პირველს უფრო ევროპაში იყენებენ. ტესტების ჩასატარებლად კი ჩვენ უბრალოდ დროც არ დაგვრჩა. თვალით დანახულს კი გეტყვით — ამ ეტაპისთვის ფუნქციონალურად 70 პროცენტამდე ვართ ასული. ახლა მეტს არც მოველოდი. თანაც მხოლოდ „ჰაფნარისთვის“ ხომ არ მოვმზადებულვართ, წინ მთელი სეზონია.

— თქვით, რომ წამყვანი მოთამაშეების წასვლით სათადარიგოთა სკამი დაგიმოკლდათ. ხომ არ აჯობებდა, ორი კარგი ფეხბურთელით მაინც გაძლიერებულიყავით?

— „ვიტ ჯორჯიას“ თავისი სტრატეგია გააჩნია, აქცენტს ჩვენს მიერ გაზრდილ ფეხბურთელებზე ვაკეთებთ. ამით თანხებს ვზოგავთ და ფულს გონივრულად ვიყენებთ — თუნდაც იმავე ახალგაზრდობის აღზრდის საქმეში. გუნდში შემთხვევით არავინ მოგვყავს. გერმანულ შეკრებაზე ის ფეხბურთელები წავიყვანეთ და მივეცით საერთაშორისო გამოცდილების მიღების შანსი, ვინც გამოგვადგებოდა. ახალმა ფეხბურთელებმა თავი ძალიან კარგად წარმოაჩინეს, მათი გარჯით კმაყოფილი დავრჩი. კიდევ ერთხელ დავრწმუნდი, რომ ჩვენი გუნდის მომავალს საფრთხე არ ემუქრება.

— ოთხმა წამყვანმა მოთამაშემ დაგტოვათ, შეკრებაზე მათი სრულფასოვანი შემცვლელები თუ გამოჩნდნენ?

— ამის გაკეთება ძალიან ძნელია, თუ იმასაც გავითვალისწინებთ, რომ ჩემი აზრით საქართველოს საუკეთესო მეკარე, მირზა მერლანმა, ბომბარდირმა რევაზ გოცირიძემ და საუკეთესო შემქმნელებმა გიორგი ადამიამ და გიორგი დეკანოსიძემ დაგვტოვეს.

— რომელი რგოლის თამაშით ხართ კმაყოფილი?

— შეკრებაზე თავი ძალიან კარგად წარმოაჩინა ჩვენმა მეკარემ დავით მამარდაშვილმა. მან მაღალ დონეზე ჩაატარა თამაშები. როგორც ჩანს, მეორე მეკარის კომპლექსიც მოეხსნა. მართალია, ოთხ მატჩში ამდენივე გოლი გავუშვით, მაგრამ ბუნდესლიგურ „ჰანოვერს“ კარში ერთხელაც არ დავარტყმევინეთ. თუ დეკანოსიძის წასვლას არ ჩავთვლით, ნახევარდაცვაც შევინარჩუნეთ. ახლა მთავარი პრობლემა სათანადო ფორვარდების შერჩევა იქნება.

— გერმანულ შეკრებაზე ყველაზე ხშირად ცენტრფორვარდის პოზიციაზე გოჩაშვილს უხდებოდა თამაში, მას ხომ არ დააბრუნებთ ძველ პოზიციაზე?

— გოჩაშვილმა, ფაქტობრივად, მთელი შეკრების განმავლობაში ცენტრფორვარდის ადგილზე ითამაშა, მას საკმაოდ ბევრი მომენტიც ჰქონდა, მაგრამ, სამწუხაროდ, კონცენტრაცია აკლდა. ეს გასაკვირიც არ იყო, გოჩაშვილი დღე-დღეზე შვილის შეძენას ელოდა და საკმაოდ განიცდიდა. დარწმუნებული ვარ, რომ ის საჭირო მომენტში იტყვის თავის სიტყვას.

— გოჩაშვილიც და ებანოიძეც საკმაოდ ტანმაღალი ფორვარდები არიან, ამის გათვალისწინებით, თქვენს შეტევებში მაღალი ჩაწოდებები იმატებს?

— „ვიტ ჯორჯიას“ სხვადასხვა სტილის თავდამსხმელები ჰყავს, სათამაშო სტილს კი კონკრეტული მეტოქისთვის შევარჩევთ.

— ფარერების „ჰაფნარი“ რთულ მეტოქეთა კატეგორიას ნამდვილად არ განეკუთვნება, მაგრამ მდგომარეობას ინფორმაციული ვაკუუმი ხომ არ გირთულებთ?

— დავიწყოთ იქიდან, რომ როგორც განთესილი გუნდისთვის, ჩვენთვის სულ ერთი იყო, ვის შეეხვდებოდით. „ჰაფნარზე“ ინფორმაციის მოპოვება კი მართლაც რთული აღმოჩნდა. რაც გვაქვს, ძირითადად ინტერნეტით მოპოვებული მასალებია. პირველი თამაში თბილისშია და ჩვენ ვალდებულებიც ვართ, აქვე გადავწყვიტოთ შემდეგ ეტაპზე გამსვლელის საკითხი

— როგორც ვიცი, „ჰაფნარისგან“ განსხვავებით, საკმაოდ დიდ ინფორმაციას ფლობთ შემდგომ მეტოქეზე, პოლონურ „ვისლაზე“...

— ვიდეომასალის მოპოვებაში ძალიან დაგვეხმარა მამუკა ჯიქია. „ვისლას“ ორი თამაშის ფირი გვაქვს. გარდა ამისა, პოლონურ ფეხბურთს ევროპაშიც საკმაოდ დიდი ყურადღება ექცევა და მასალები ამ გუნდზე გერმანულ „კიკერშიც“ მრავლადაა და სხვა წამყვან ევროპულ გამოცემებშიც. „ვისლა“ ძალიან ძლიერი მეტოქეა, პოლონეთის ნაკრების ექვსი ფეხბურთელი თამაშობს, ნიგერიელი და არგენტინელი ლეგიონერებიც ჰყავთ. მათ წინააღმდეგაც აუცილებლად მოვიფიქრებთ რამეს, თუმც ახლა მთელი ყურადღება პირველ მატჩს სჭირდება.

— ჩემპიონთა ლიგის მატჩს „ვიტ ჯორჯია“ ახალი ეკიპირებით შეხვდება?

— გერმანიაში შეკრებაზე ჩასულებს პოპულარულმა გერმანულმა სასპორტო ინვენტარის ფირმამ „ულსპორტმა“ ახალი სათამაშო და სავარჯიშო ფორმები დაგვახვედრა, რაც ბიჭებს ძალიან მოეწონათ. უცვლელი მხოლოდ გუნდისთვის უკვე ტრადიციული ფერები დარჩა. სხვათა შორის, გერმანიაში ერთ-ერთი მატჩისას „ულსპორტის“ მენეჯერმაც ჩამოგვაკითხა და გვაგრძნობინა, რომ ჩვენთან თანამშრომლობა სურთ.

ვლადიმერ გოჩაშვილი:

— დღე-დღეზე პირველი ბავშვის დაბადებას ველოდები. მეშინოდა, გერმანიაში ყოფნისას არ შემძენოდა, მაგრამ, საბედნიეროდ, დამელოდა...

— გერმანული შეკრებაზე რას იტყვი?

— საკმაოდ ნაყოფიერი იყო. ყველაფერი გეგმის მიხედვით მიდიოდა, პირობებიც მშვენიერი გვქონდა.

— გერმანულ კლუბებთან სპარინგიც ბევრს შეგძენდათ...

— კარგი მეტოქეები გვყავდა. განსაკუთრებით ბუნდესლიგელ „ჰანოვერს“ გამოვარჩევდი. მათ არაფრით ჩამოვრჩით, პირიქით, შეხვედრის ფრედ დასრულების მიუხედავად, საგოლე მომენტები ჩვენ უფრო მრავლად შევქმენით.

— „ვიტ ჯორჯიამ“ შემადგენლობის მხრივ საკმაო დანაკლისი განიცადა, განსაკუთრებით შეტევაში. შენ შეკრებაზე ცენტფორვარდად ითამაშე...

— შეკრებაზე გამოკვეთილ ცენტრფორვარდობას მართლაც მე მაკისრებდნენ და გამორიცხული არ არის, ისევ ამ პოზიციას დავუბრუნდე. თუ ასე იქნება, ეს ჩემთვისაც უკეთესია.

— ცოტაც და, ფარერების „ჰაფნართან“ მატჩი გელით, კენჭისყრამ გაგიმართლათ და პირველი ეტაპის გადალახვა არ უნდა გაგიჭირდეთ...

— კენჭისყრის შემდეგ გუნდში ყველა კმაყოფილი იყო და დარწმუნებული ვართ, რომ პირველი ეტაპთ დავძლევთ. თუმცა ამ გუნდზე ინფორმაცია ფაქტობრივად არ გვაქვს და მეტოქის შეუფასებლობა არ უნდა დავუშვათ. თამაში დღეს ყველამ ისწავლა.

— ალბათ უკვე „ვისლაზეც“ ფიქრობთ?

— „ვისლას“ თამაშების ვიდეოფირები ვნახეთ, უდავოა, რომ ძლიერი მეტოქე გვეყოლება, ძალიან ათლეტური გუნდია, თან ბურთთანაც კარგად არიან, თუმც „ვისლაზე“ მერე ვილაპარაკოთ...

დავით ერაძე

როგორ გამეტალურგდება წყალტუბოს სამგურალი?

დღეს კონტრაქტის დღეა

წყალტუბოს „სამგურალისა“ და ზესტაფონის „მეტალურგის“ ყბადაღებულ საქმეს დღეს უნდა დაესვას წერტილი. იმერული კლუბების თავკაცები დღეს ერთმანეთს ხვდებიან და ხელშეკრულებაზე ხელს მოაწერენ.

მოკლედ შეგახსენებთ საქმის არსს: წყალტუბოს „სამგურალი“ უმაღლეს ლიგაში კი გადავიდა, მაგრამ უფულობისგან სული სძვრება და, ცხადია, პროფლიგის მოთხოვნებსაც ვერ აკმაყოფილებს. ბედად წყალტუბოელებს მშველელი გამოუჩნდათ — ახალი შეძლებული პატრონით თავმომწონე ზესტაფონელებმა მეზობლებს გარიგება შესთავაზეს და დასტურიც მიიღეს.

აქამდე ეს საქმე წინ აღარ წასულა, მიზეზად იურიდიული დეტალების დაზუსტება დასახელდა. ახლა კი გაირკვა, რომ „სამგურალი“ და „მეტალურგი“ ყველაფერზე შეთანხმდნენ და კონტრაქტის გაფორმებას წინ აღარაფერი უდგას.

აი, რა გვითხრა გუშინ წყალტუბოს მერმა მამუკა საღარეიშვილმა:

— ხვალ შევხვდებით ერთმანეთს და ალბათ ხელშეკრულებასაც გავაფორმებთ. „სამგურალის“ გაყიდვაზე ლაპარაკი არც ყოფილა, ჩვენ გაერთიანებას ვაპირებთ. როგორც ვიცი, „მეტალურგის“ ხელმძღვანელებს სერიოზული მიზნები აქვთ და წყალტუბოში ბაზის აშენებასაც აპირებენ. ჩვენ, ცხადია, ამაში ხელს არ შევუშლით. დანარჩენი ამ დღეებში გაირკვევა.

კახა შალამბერიძე

შოთას და ზურას კაპიტანი აღარ ჰყავთ

კრეიგ მურს ქედს სამშობლოში მოუხრიან



მკაცრი რეინჯერსი ბლატერმაც გააკრიტიკა

შოთა არველაძე და ზურაბ ხიზანიშვილი „გლაზგო რეინჯერსში" უკაპიტნოდ დარჩნენ — ავსტრალიელ მცველ კრეიგ მურს კაპიტნობა ჩამოართვეს.

13 აგვისტოს ათენის ოლიმპიური თამაშები იწყება, სადაც ავსტრალიის საფეხბურთო ნაკრებიც ითამაშებს და მურმაც გადაწყვიტა, ოლიმპიადაზე ითამაშოს. შოტლანდიის ჩემპიონატი კი 7 აგვისტოს იწყება. ყველაფერი ეს იმას ნიშნავს, რომ სეზონის სტარტზე მური „რეინჯერსში" ვერ ითამაშებს. ფიფას კანონებით, ასეთ დროს კლუბს არ აქვს უფლება, ფეხბურთელი თავისთან დააკავოს და ოლიმპიადაზე არ გაუშვას. მაგრამ „რეინჯერსმა" ის უფლება გამოიყენა, რაც აქვს — მურს კაპიტნობა ჩამოართვა და ტრანსფერზე დააყენა — ასე დასაჯეს გლაზგოელებმა ავსტრალიელი ფეხბურთელი.

„რეინჯერსის" დამრიგებელმა ალექს მაკლიშმა თქვა, მე და მურმა გულახდილად ვისაუბრეთ, მაგრამ ჩვენთვის პრიორიტეტი „რეინჯერსის" ინტერესებია და შესაბამისი გადაწყვეტილებაც მივიღეთო. მაკლიშმა ისიც დასძინა, ტრანსფერზე დაყენებულ მურს კორექტულად მოვექცევით, ანუ დიდ ფასს არ დავადებთო.

მაშ, ვინ უკაპიტნებს „რეინჯერსს"? მაკლიშის განმარტებით, ახალი კაპიტნის ვინაობა ზედ სეზონის დაწყების წინ გაირკვევა ან სეზონის დაწყებიდან რამდენიმე კვირაში — მანამდე „რეინჯერსს" დროებითი კაპიტანი ეყოლება, მაგრამ ვინ, ჯერ ესეც უცნობია.

„რეინჯერსი" დამდეგი სეზონის წინ ძალიან ბევრმა გამოცდილმა და სახელიანმა ფეხბურთელმა დატოვა და კაპიტნად არჩევის შანსი იქნებ შოთა არველაძესაც ჰქონდეს.

ამასობაში „ჩაფრებისგან" მურის დასჯის ფაქტს ფიფას პრეზიდენტი იოზეფ ბლატერი გამოეხმაურა: „სად არის სოლიდარობა? სად არის ფეარ პლეი? „რეინჯერსისთვის" პატივი უნდა იყოს, თუ მისი რომელიმე ფეხბურთელი ოლიმპიადაზე ითამაშებს".

ავსტრალიის ოლიმპიური ნაკრების მთავარი მწვრთნელი ფრენკ ფარინა კი ამბობს: „მურმა 1996 წლის ატლანტის ოლიმპიადა ტრავმის გამო გამოტოვა და ამის შემდეგ ძალიან უნდოდა ოლიმპიადაზე თამაში. მის წინაშე ქედს ვიხრი, მან სიტყვა მოგვცა, რომ ათენის ოლიმპიადაზე ითამაშებდა. გაწბილებული ვარ იმით, რაც მას „რეინჯერსში" უქნეს — კრეიგ მურმა „რეინჯერსისთვის" ბევრი გააკეთა, ამ გუნდის მიმართ უსაზღვრო ერთგულებას იჩენდა".

დავით თავართქილაძე

ახალი ამბავი ახალკაცისგან

ლოკომოტივმა ქართველი ბალტიკას ვერ ათხოვა

მოსკოვის „ლოკომოტივიდან" კალინინგრადის „ბალტიკაში" განათხოვრებულ რომან ახალკაცს ახალ გუნდში, წესით, წინა ტურში უნდა ეთამაშა, მაგრამ მისი გვარი ვერსად ამოვიკითხეთ. ეჭვები „ბალტიკის" თავკაცმა ანდრეი სიომინმა გაფანტა, როცა რუს ჟურნალისტებს უთხრა, მომავალ მატჩებში ახალკაცის იმედი მაქვსო. თუმც... გუშინ გავიგეთ, რომ ჩვენებური „ბალტიკაში" არ ითამაშებს. ახალკაცი ახლა მოსკოვშია და „ლოკომოტივითან" ერთად ვარჯიშობს. ცხადია, მასზე უკეთ მომხდარში ვერავინ გაგვარკვევდა და ჩვენც გუშინვე რომანს შევეხმიანეთ...

— „ბალტიკაში" ჩემი ტრანსფერი ჩაიშალა. ასე რომ, ახლა ისევ „ლოკომოტივის" სარეზერვო გუნდში მომიწევს თამაში.

— რატომ ჩაიშალა ტრანსფერი? თითქოს ყველაფერზე შეთანხმებულები იყავით...

— შეთანხმება არაფერ შუაშია. უბრალოდ, როგორც გაირკვა, „ლოკომოტივს" ჩემი განათხოვრების უფლება არ ჰქონია.

— ეგ როგორ?

— დეტალები მეც არ ვიცი. კალინინგრადში „ლოკომოტივის" პრეზიდენტმა ვალერი ფილატოვმა დამირეკა და მითხრა, მოსკოვში ჩამოდიო. როცა ვიკითხე, რა ხდებაო, მიპასუხა, კონტრაქტში წერია, რომ შენი განათხოვრება არ შეგვიძლიაო.

— არადა, ანდრეი სიომინი ამბობდა, ახალკაცი უახლოეს ტურებში შეგვეშველებაო..

— წინა ტურშივე უნდა მეთამაშა, მწვრთნელმა დავალებაც მომცა, მაგრამ მოგვიანებით მითხრეს, განაცხადში შენი შეყვანა გაჭიანურდაო და მერე, როგორც გითხარით, ფილატოვმაც დამირეკა და მოსკოვში დავბრუნდი.

— ესე იგი, თუ სხვა გუნდში გადახვალ, „ლოკომოტივმა" უნდა გაგყიდოს...

— ეგრეა, მაგრამ ფილატოვმა მითხრა, კონტრაქტს გადავხედავთ და თუ რამე არ მოგვეწონება, შევცვალოთო.

— „ლოკომოტივის" ძირითად გუნდში გადაყვანაზე არაფერი უთქვამთ?

— რა ვიცი, რომ უნდოდეთ, ხომ გადამიყვანდნენ?!

— ესე იგი, ისევ დუბლებში ითამაშებ?

— ასე გამოდის. ეს სეზონი კარგად უნდა ჩავამთავრო და დანარჩენზე მერე ვიფიქრებ.

ძახა შალამბერიძე

ალექსანდრე ოსტროვსკი

მოსკოვის „დინამოსთან" მატჩში დაშავებული ქართველი ფეხბურთელი მალხაზ ასათიანი „ლოკომოტივს" კიდევ ათი დღე ვერ შეეშველება. ექიმებმა ასათიანი ერთხელაც გასინჯეს და სწორედ ათ-. დღიანი დასვენება გამოუწერეს.

ასე რომ, საგანგაშო აღარაფერია და მალხაზიც მალე განაახლებს ვარჯიშს. არადა, „ლოკომოტივში" ყველას ეგონა, რომ ასათიანს კუნთი გაუწყდა. არ გამართლდა ის ვარაუდიც, რომ ჩვენებურს თვეების წინ იაროსლავლის „შინიკთან" სათასო მატჩში გაწყვეტილი კუნთი დაუზიანდა — მალხაზის თქმით, ამჯერად მეორე ფეხის კუნთმა უმტყუნა, ძველ ტრავმას კი თავი აღარ შეუხსენებია.

ფრაიბურგი ბევრს თამაშობს, ბადენოვა ბევრს ხარჯავს

იაშვილ-ცქიტიშვილის „ფრაიბურგი" პირველ მოსამზადებელ ეტაპს კუნძულ ლანგეონგზე 14 ივლისს დაასრულებს. ამის შემდეგ კი რამდენიმე ამხანაგური მატჩს მართავს.

18 ივლისისთვის „ფრაიბურგი" „კარლსრუემ" მიიწვია და საკლუბო 100 წლის იუბილესთან დაკავშირებით ქალაქ კელში „რეინშტადიონზე" დაუპირისპირდება.

23 ივლისს ჩატარდება „ფრაიბურგისთვის" ტრადიციად ქცეული მატჩი, რომელშიც ერთმანეთს მოყვარული და პროფესიონალი ფრაიბურგელი ფეხბურთელები შეხვდებიან.



24 ივლისს კი დაიწყება ტურნირი „კაიზერშტულ კუპ"-ი. მასში ფრაიბურგელთა გარდა მონაწილეობენ „ფიურტი", „ბალინგერი" და „ჰერტა". „ფრაიბურგი" პირველად „ჰერტას" შეხვდება, ფინალი კი 25 ივლისს გაიმართება.

31 ივლისს „ფრაიბურგი" ფრანგულ „სოშოს" უმასპინძლებს. შეხვედრა კლუბის საფეხბურთო სკოლაში გაიმართება.

3 ივლისს კი, ადრეც გაუწყეთ, „ფრაიბურგის" ასი წლისთავისადმი მიძღვნილი მატჩია. ფრაიბურგელები საკუთარ, „ბადენოვას" სტადიონზე მიუნხენის „ბაიერნს" უმასპინძლებენ.

თავის მხრივ, გერმანიაში ერთ-ერთი უმსხვილესი კომპანია „ბადენოვა" (რომლის სახელიც დაერქვა „ფრაიბურგის" ყოფილ „დრაიმზაშტადიონს") სტადიონის კეთილმოსაწყობად 5 მილიონ ევროსაც გამოდის, — ამ თანხად იყიდა „ბადენოვამ" ფრაიბურგის სტადიონის სახელი.

დავით ერაძე

შამქირმა თბილისამდე იაგანი გააგორა

„**თბილისის**" საუეფასთასო მეტოქემ, აზერბაიჯანულმა „შამქირმა" ამხანაგური მატჩი გამართა „გოიზენთან". შეხვედრა შამქირში, ცენტრალურ სტადიონზე ჩატარდა და ფრედ, 1:1 დასრულდა. მასპინძელთაგან გოლი ესკოტ ესკანტიმ გაიტანა, რომელმაც კლუბთან კონტრაქტი ორიოდ დღის წინ გააფორმა. მის გარდა „შამქირს" კიდევ ხუთი ახალწვეული ჰყავს — მიხაილ მამაზოვი, მიხაილ იუსიფოვი, ულფატ მამადოვი, ფაიგ ჯაბაროვი და ელჩინ ჰასანოვი. „შამქირმა" უეფაში უკვე გააგზავნა განაცხადი, რომელშიც ექვსივე ახალწვეულია შეყვანილი.

ძახა შალამბერიძე



REUTERS არქივიდან

დიდმა ბრაზილიამ პატარა კოსტა რიკა ასე მოახრჩო

ადრიანო ანდებში ნავარდობს

პარეირამ პოსტარიელებს სათამაშო დრო შეახსენა

ბრაზილია კოლუმბიის შემდეგ მეორე მეოთხედფინალისტი გახდა. პენტაკამპეონებმა კოსტა რიკას ოც წუთში მოუღეს ბოლო. ინტერელმა ადრიანომ ჰეთ თრიქი მიითვალა და ნამატჩევს კარლოს ალბერტო პარეირას ნდობისთვის მადლობა მოუხადა.

„ინტერის“ ფორვარდმა ანგარიში პირველი ტაიმის მიწურულს ალექსის პასით გახსნა. მეორე გოლი შესვენების შემდეგ ლუის ფაბიანომ უმალ გაიტანა — მცველის დაუდევრობით ისარგებლა და რიკარდო გონსალესს შანსი არ დაუტოვა.

ამას კოსტარიკელი მეკარის შეცდომა მოჰყვა. ფლანგიდან ჩაწოდებულ ბურთზე უხეიროდ გამოვიდა კარიდან და ადრიანომ დასაჯა — თავით მესამე შეაგდო. მადაგახსნილმა ინტერელმა ცოტა ხანში მეოთხეც მიაყოლა და მეტოქის რბევა ამით დაასრულა.

კოსტარიკელმა ლუის მარინმა შეხვედრის ბოლოს ერთი რომ გაქვითა, ეს ტურნირზე ამ ნაკრების პირველი გოლი გახლდათ.

გახარებულმა ადრიანომ თქვა: „ერთ მატჩში სამი გოლის გატანა იოლი არაა და ყოველდღე ვერ შეძლებ. რა თქმა უნდა, ძალიან კმაყოფილი ვარ. ვიცოდი, აუცილებლად გავიტანდი, რადგან უმაღლესი კლასის თანაგუნდელები მყავს. პირველი გოლის შემდეგ ვიგრძენით, რომ იოლად მოვიგებდით და მეორე ტაიმში უკეთესად ავთამაშდით. მეოთხედფინალში გავედით, სადაც გაცილებით რთული თამაშები გველის. ვიმედოვნებ, ასევე კარგად გავაგრძელებთ“.

ალექსი, ბრაზილიის ნაკრების ნახევარმცველი: „აქაურ კლიმატთან შეგუება ცოტა კი გაგვჭირდა, თუმც ახლა შესანიშნავ ფორმაში ვართ“.

კარლოს ალბერტო პარეირა, ბრაზილიის ნაკრების მწვრთნელი: „კოსტა რიკამ ისეთი ტემპით დაიწყო, მივხვდი, დიდხანს ვერ გაძლებდნენ, ასეც მოხდა. მეორე ტაიმში უკვე დაღლილები იყვნენ, ფეხბურთი კი 90 წუთს გრძელდება. მეგონა, რომ ძალიან მძიმე მატჩი გველოდა, თურმე მოვტყუვდი“.

„უყურადღებოდ ვითამაშეთ. ბრაზილიამ ექვსიდან ოთხი საგოლე მომენტი გამოიყენა, ჩვენი შანსები კი გავანიავეთ“ — განაცხადა დამარცხებულთა კოლუმიელმა თავკაცმა ლუის პინტომ.

დღის მეორე მატჩში ჩილემ პარაგვაისთან ფრედ ითამაშა და ბოლო ტურში თუ კოსტა რიკას სძლევს, ოთხი ქულით მესამე ადგილიდან შესაძლოა, მეოთხედფინალში გავიდეს.

პირველ ტაიმში გუნდებს თვალსაჩინო არაფერი გაუკეთებიათ. ჩილელთა შეტევები შესვენების შემდეგ გაუმჯობესდა. შეცვლაზე შესულმა მაურისიო აროსმა მარცხენა ფლანგი გათელა და გოლიც მისი პასით სებასტიან გონსალესმა გაიტანა, თუმც პარაგვაელმა ერნესტო კრისტალდომ დაახლოებით 35 მეტრიდან უძლიერესი დარტყმით გაათანაბრა.

ვაჟა ხუციშვილი

REUTERS არქივიდან

პარაგვაელმა ერნესტო კრისტალდომ მატჩის ბოლოსკენ შეაგდო და გაიხარა

კოპა ამერიკა 2004
პერუ (6-25 ივლისი)

COPA AMERICA PERU 2004

C ჯგუფი. II ტური, ბოლო ოთხეული

ბრაზილია 4:1 პოსტარიკა

1:0 ადრიანო (44), 2:0 ლუის ფაბიანო (49), 3:0, 4:0 ადრიანო (54, 67), 4:1 მარინი (81)

ბრაზილია: ჟულიო სეზარი, მანსინი, ლუიზაო, ჟუანი, გუსტავო ნერი, რენატო, კლებერსონი (დიეგო 56), ედუ (დუდუ 66), ალექსი, ადრიანო, ლუის ფაბიანო (ვაგნერ ლოვე 56)

კოსტა რიკა: რ. გონსალესი, ტ. ბენეტი, ლ. მარინი, მ. რაიტი, ლ. გონსალესი, ბადილია (რ. გომესი 55), სეკეირა, სენტენო, ბრისი, სოლისი (კ. ერნანდესი 76), საბორიო

მსაჯი: ექტორ ბალდასი (არგენტინა)

13 000 მაყურებელი

პარაგვაი 1:1 ჩილე

0:1 ს. გონსალესი (72), 1:1 კრისტალდო (79)

პარაგვაი: ვილიარი, დ. გონსალესი, პ. ბენიტესი, გამარა, კრისტალდო, ე. ბარეტო, პარედესი, ა. ტორესი, ფიგერედო (დ. ლოპესი 67), ბარეირო (ე. მარტინესი 81), ნ. ვალდესი (დოს სანტოსი 65)

ჩილე: კ. ბრავო, ლ. ფუენტესი, ოლარა, რ. პერესი (აროსი 46), კ. აკუნია (მილარი 64), ი. ფუენტესი, ვალენსუელა, რ. მელენდესი, მიროშევიჩი, გალაზი (მანსილია 46), ს. გონსალესი

მსაჯი: გუსტავო მენდესი (ურუგვაი)

15 000 მაყურებელი

ბრაზილია	2	2	0	0	5:1	6
პარაგვაი	2	1	1	0	2:1	4
ჩილე	2	0	1	1	1:2	1
კოსტა რიკა	2	0	0	2	1:5	0

III ტური 14 ივლისი

პოსტა რიკა – ჩილე

ბრაზილია – პარაგვაი

სუარესს ზედმეტი ფეხბურთი არ ვნებს

კლაუდიო სუარესი

მექსიკელმა მცველმა კლაუდიო სუარესმა 171 სანაკრებო მატჩი მოაგროვა, მაგრამ ამ რიცხვის 200-მდე დამრგვალებას რატომღაც არ გეგმავს, 35 წლისა ვარო.

„ჩემთვის რაოდენობას მნიშვნელობა არა აქვს. ვითამაშებ მანამდე, სანამ ნაკრებს ჩემი ცოდნა-გამოცდილება გამოადგება. ჯერჯერობით ბუცების ლურსმანზე ჩამოკიდებას არ ვაპირებ, რადგან თავს კარგად ვგრძნობ და ფეხბურთის თამაში სიამოვნებას მანიჭებს“.

ბოლო ორ წელიწადში კლაუდიო სუარესმა ნაკრებში მხოლოდ ერთხელ, გასულ ოქტომბერში, ურუგვაისთან ამხანაგურ მატჩში ითამაშა. მან კორეა-იაპონიის მსოფლიოს ჩემპიონატი ტრავმის გამო გამოტოვა და მაშინ გაიცდა, როცა მწვრთნელმა რიკარდო ლავოლპემ „კოპა ამერიკაზე“ გასამგზავრებლად უხმო.

„ძალიან დიდი მოულოდნელობა იყო, რადგან ამხანაგურ და მსოფლიოს ჩემპიონატის შესარჩევ მატჩებში არ მიხმეს. მიუხედავად ამისა, ლავოლპე მენდო და შემადგენლობაში შემიყვანა, რაც მეტად სასიამოვნოა“.

სუარესს კოპაზე ჯერ არ უთამაშია, თუმც ამბობს, რომ ნებისმიერ დროს მზადაა, ნაკრებს შეეშველოს: „ თუ გუნდს ჩემი დახმარება დასჭირდება, ვიცი, რომ მწვრთნელს არ დავალალატებ“.

რაც შეეხება 2006 წელს გასამართ მუნდიალს, სუარესს გერმანიაში მოხვედრის — თუ მექსიკა შესარჩევიდან გავიდა — იმედი გადაწურული აქვს, რადგან იმ დროისთვის 37-ის იქნება.

ვაჟა ხუციშვილი

ლავოლპემ თავი დაცვით დაიცვა

რიკარდო ლავოლპეს მექსიკამ არგენტინა რომ დაამარცხა, მარსელო ბიელსამ განაცხადა, შვიდი მცველით გვეთამაშებოდნენ და ეგ რაღა ფეხბურთი იყო.

არგენტინაში დაბადებულმა ლავოლპემ, რომელიც 1978 წლის მსოფლიოს ჩემპიონთა სათადარიგო მეკარე იყო, გუშინ მედიასთან საუბარში კოლეგას ირონიულად გადაუკრა, რა ვქნა, დაცვით თამაშს ვანიჭებ უპირატესობასო.

„ჩემს ადგილზე იმუშაოს და მერე ვნახოთ, რას გააკეთებს. მე არ მყავს სავიოლა, დალესანდრო, ხავიერ ძანეტი და მათდარი ბიჭები, ამიტომაც ავაწყვე გუნდი დაცვაზე. ზოგჯერ ასე სჯობს და ამ შემთხვევაში გაამართლა. რა თქმა უნდა, ეკვადორთან გაცილებით შემტევ ფეხბურთს ვითამაშებთ, რადგან მექსიკური მედია ტაქტიკის გამო მაკრიტიკებს. ვფიქრობ, რომ აქ აშკარა ფავორიტები არ არიან და ამიტომ ჩვენ ჩემპიონობაზე ფიქრიც შეგვიძლია“ — განაცხადა ბიელსაზე განაწყენებულმა ლავოლპემ.

ვაჟა ხუციშვილი



რიკარდო ლავოლპე თვისტომ მარსელო ბიელსას შემოსწყრა

ახალი გალაქტიკა

ხოსე ანტონიო კამაჩოს ზურგს ფლორენტინო პერესი უმაგრებს

ფლორენტინო პერესმა ხმათა 90 პროცენტზე მეტი მიიღო და კვლავ „რეალის“ პრეზიდენტი გახდა. რა უნდა ნიშნავდეს ასეთი შედეგი? ალბათ იმას, რომ „გალაქტიკოს“ ბოლო სეზონის ჩავარდნამ მისი ბრწყინვალება მაინც ვერ დაჩრდილა. 57 წლის ბიზნესმენის კონსტრუქციამ ორი კონკურენტი ყოფილი პრეზიდენტი ლორენსო სანსი და არტურო ბალდასანო სამარცხვინოდ დასცა ბეჭებზე. ამ ორმა ჯამში მხოლოდ ექვსი პროცენტი მოაგროვა.

ერთი სიტყვით არჩევნები ცალმხრივ მოძრაობას ჰგავდა, თუმცა პერესს, როგორც მისი მომხრეები ამბობენ, მზამზარეულად არაფერი მიუღია. პრეზიდენტმა გვარიანი დრო და ენერგია დახარჯა, რათა მოცილეთათვის ერთხელ და სამუდამოდ მიეჩინა ადგილი დამარცხებულთა შორის. აგრეთვე ამბობენ რომ სანსი და ბალდასანო ამ დარტყმის შემდეგ ვეღარასოდეს გამოერკვევიან.

„რეალის“ კლუბის 30 ათასი წევრი ჰყავს და ანალიტიკოსთა აზრით ამ ხალხს სხვა გზა არ ჰქონდა, ხმა პერესისთვის უნდა მიეცა. სანსი წარსულში დაბრუნებას ნიშნავდა, წარსულში კი კლუბი ფინანსური კატასტროფის წინაშე იდგა. რაც შეეხება ბალდასანოს, მას რომ ხმას არავინ მისცემდა, ისედაც ნათელი იყო.

და კიდევ პერესს ერთი დიდი პლუსი აღმოაჩნდა: მართალია, საჯაროდ ამის თქმა მაინც და მაინც არ სიამოვნებდა, მაგრამ სატრანსფერო საქმიანობაზე დაეტყო, რომ ძალიან კარგად მიხვდა რა შეცდომებიც მოუვიდა გასულ სეზონში.

თუმცა სატრანსფერო საქმიანობამდე პრეზიდენტის ალღო მაშინ გამოჩნდა, როდესაც მწვრთნელი კარლუშ კეირუში დაითხოვა თანამდებობიდან. მოგეხსენებათ, ბოლ ხუთ წელიწადში ერთადერთი უტიტულო სეზონი „რეალს“ სწორედ ახლა ჰქონდა, მაგრამ აქ, ისევე როგორც ყველგან და ყოველთვის მედალს ორი მხარე აქვს: განა წარუმატებლობა მხოლოდ ამ რბილი ბუნების, კარგად ჩაცმის მოყვარული პორტუგალიელის ბრალი იყო? განა არ არის ეჭვი რომ პერესმა, რომელმაც თავად დააბვედრა კეირუშს დაუბალანსებელი გუნდი, მწვრთნელი ბოლოს განტევების ვაცად აქცია? მეორე მხრივ, რა საკვირველია, მაგრამ თუ ასეა (ერთი წუთით ზნეობის თავი დავანებოთ) გამოდის, რომ პერესს მართლა სხარტი ალღო ჰქონია.

და პრეზიდენტს დრო არ დაუკარგავს, კეირუში გაუშვა თუ არა მის ადგილზე „რეალის“ ყოფილი მცველი, ესპანეთის ნაკრების ყოფილი მწვრთნელი ხოსე ანტონიო კამაჩო მიიყვანა.

საინტერესოა, რომ კამაჩო პერესის მიერ „რეალში“ დაგროვებული ფეხბურთელების აბსოლუტური ანტიტიპია: უხეშია, არ იპრანჭება და ჟურნალისტებს არ უღიმის, მაგრამ აქვს ის, რაც, ალბათ ქომაგების თვალს და გულს გასულ სეზონში აკლდა — თავდადება, პრინციპულობა და დაჟინება.

შემდეგ, პერესმა „რომასგან“ ვალტერ სამუელი იყიდა, რაც იმას ნიშნავს, რომ ახალ სეზონში გუნდი საფეხბურთო საჭიროების მიხედვით აეწყობა და არა კომერციული მოგების შესაბამისად. აი, სწორედ ამას ვამბობდით ზევით: კეირუშს ასეთი საჭირო შენაძენით არავინ გაანებივრებდა.

მეორე მხრივ, სამუელის ყიდვა არ ნიშნავს, რომ პერესმა „გალაქტიკოს“ პროექტზე უარი თქვა, ბოლოს და ბოლოს „გალაქტიკოს“ პროექტის დედააზრი ხომ ყოველ ზაფხულს ერთი გამორჩეული სიკაშკაშის ვარსკვლავის შეძენაა, ასეთები კი პერესს ეხერხება. უეინ რუნი, რუუდ ვან ნისტელროი ან ფრანჩესკო ტოტი — აი, ვისზე ეჭვობს დღეს ესპანური პრესა.

მაგრამ, სანამ რუნის, ვან ნისტელროის თუ ტოტის იყიდის, პერესი სამუელის მხარში ამოსაყენებლად „პორტუს“ ცენტრალურ მცველს, რიკარდო კარვალიუს ელაპარაკება და „პორტუდანვე“ გამოუსელელად კოშტინიას უთანხმდება.

და ვინ იხეირებს ყოველივე ამით? უპირველეს ყოვლისა ცხადია დევიდ ბექემი, რომელიც შავი სამუშაოს დიდი ნაწილისგან განთავისუფლდება, რაც მისი განტვირთვა როდია, პირიქით, ეს მის სწორად დატვირთვას და მისი ნიჭის ეფექტურად გამოყენებას ნიშნავს.

და ბოლოს, პერესის გეგმაში 36 მილიონ დოლარიანი სხვა პროექტიც შედის — „სანტიაგო ბერნაბეუს“ მოდერნიზაცია (თანამედროვე გადახურვა) და ახალი საწვრთნელი ბაზის აგება.

პაპუნა კედია

მადრიდის „რეალის“ საპრეზიდენტო არჩევნებში ფლორენტინო პერესმა დიდი უპირატესობით გაიმარჯვა. ესპანურ „ასთან“ საუბარში მან დამარცხებული კანდიდატები ანუგეშა, ხოლო მადრიდელ ინჩასებს „სანტიაგო ბერნაბეუზე“ კვლავინდებურად ვარსკვლავთცვენას დაპირდა...

— „რეალის“ საპრეზიდენტო არჩევნებში ასეთი შთამბეჭდავი გამარჯვების შემდეგ სხვა კანდიდატებს რას ეტყოდით?

— სანსს და ბალდასანოს ვეტყოდი, რომ ადამიანი ცხოვრებაში წაგებითაც ბევრს სწავლობს და რომ საპრეზიდენტო არჩევნებში მარცხი მათთვის კატასტროფას არ უნდა ნიშნავდეს.

— მეტოქეებმა ხელახალი პრეზიდენტობა თუ მოგილოცეს?

— დიახ, ორივემ დამირეკა და მომილოცა, რისთვისაც მათი მადლობელი ვარ.

— ეს თქვენი მეორე გამარჯვებაა — პირველად ოთხი წლის წინ გახდით პრეზიდენტი. ოღონდ მაშინ ასეთი უზარმაზარი სხვაობა არ ყოფილა...

— ის, რაც ოთხი წლის წინ მოხდა, ტკბილი სიზმარივით იყო და ეს სიზმარი ჩემთვის ახლაც გრძელდება. „რეალის“ პრეზიდენტობა უდიდესი პატივია, თუმცა ამავდროულად მძიმეა. რასაც ამომრჩეველს დავპირდი, აუცილებლად შევასრულებ.

— კონკურენტების მარცხი რას უნდა მივაწეროთ?

— ვფიქრობ, ხალხი მე მეტად მენდობა, ვიდრე მათ. ამომრჩეველმა დაინახა, რომ „რეალისთვის“ ამ ეტაპზე სხვებზე მეტი სარგებლის მოტანა შემიძლია.

— მადრიდული ინჩადა თქვენი მეორე მმართველობის პერიოდისგან რას უნდა ელოდოს?

— შეუძლიათ მშვიდად იყვნენ, რადგანაც იმედს არასოდეს გავუცრუებ. არჩევნებში მადრიდელებმა უზარმაზარი ნდობა გამომიცხადეს, რაც „რეალის“ ამჟამინდელი საპრეზიდენტო საბჭოს სწორ გზაზე ყოფნის მაჩვენებელია. ჩემთან ერთად „სანტიაგო ბერნაბეუ“ ღირსეულ ცხოვრებას გააგრძელებს — ჩვენი მიზანი კვლავ გამარჯვება იქნება.

— ამ საარჩევნო კამპანიაში ყველაზე მეტად რა არ მოგეწონათ?

— ალბათ ის, რომ მავანთა უაზრო გამონათქვამების გამო სამეფო გუნდის სახელი შეილახა. ჩვენ ყველანაირად ვეცდებით ამომრჩეველი თავისი არჩევანის სისწორეში დავარწმუნოთ.

— და პირველად რას გააკეთებთ?

— ძალიან დატვირთული სამუშაო განრიგი მექნება. ჯერჯერობით მხოლოდ ის შემიძლია გითხრათ, რომ მადრიდის „რეალის“ განვითარების თანამედროვე პროექტი გაცილებით უკეთესია, ვიდრე ოთხი წლის წინანდელი.

— შესაძლო ახალ ტრანსფერებზე რას გვეტყვით?

— ხოსე ანტონიო კამაჩოს თანხმობით „რეალში“ მხოლოდ საუკეთესოებს მოვიყვან.

პერესი პატრიკს აპირებს



კვირას, მადრიდის „რეალის“ პრეზიდენტის თანამდებობაზე ხელახლა არჩეული ფლორენტინო პერესი ბრძანებს, რომ ლონდონის „არსენალიდან“ ცნობილი ფრანგი ნახევარმცველის, პატრიკ ვიეირას გადაბირებას შეეცდება. აღსანიშნავია, რომ „რეალს“ ვიეირას ყიდვა დიდი ხანია სურს და პრესაშიც დროგამოშვებით ჩნდებოდა ხოლმე ცნობები მადრიდელთა მორიგი გაქტიურების შესახებ, თუმცა ფეხბურთელისგან პასუხად ყოველთვის უარი ისმოდა. ვიერა ჯიუტად აცხადებდა, რომ ლონდონში თავს ბედნიერად გრძნობს.

არადა დღეს ცხადზე უცხადესია, რომ „რეალს“ საყრდენი, ეგრეთწოდებული პირველი ბურთის მომგები ნახევარმცველი წყალივით თუ ჰაერივით სჭირდება. გასულმა, უტიტულო სეზონმა მადრიდელებს დაანახა, რომ სხვა ფრანგი საყრდენის, კლოდ მაკელელეს გაყიდვის შემდეგ მოედნის შუაში სერიოზული პრობლემები გაუჩნდათ. დევიდ ბექემი და გუტი, რომელთაც ევალებოდათ ამ ფუნქციის შეთავსება, თავიანთი თვისებებიდან გამომდინარე საჭირო ეფექტს ვერ იძლეოდნენ.

ერთი სიტყვით, ხელახლა არჩეულმა პერესმა განაცხადა, რომ ამ სეზონშიც ერთ დიდ ვარსკვლავს შეიძენს — შარშან იყო ბექემი, შარშანწინ რონალდო, იმის წინ ზინედინ ზიდანი, პირველ წელიწადს კი ლუიშ ფიგუ. ამას გარდა პრეზიდენტმა დასძინა, რომ ფეხბურთელების შერჩევა, ცხადია, ახალი მწვრთნელის, ხოსე ანტონიო კამაჩოს პრეროგატივა იქნება.

„მე ვალდებული ვარ ჩემი პოლიტიკა გავიმეორო და „რეალში“ ყველა ადგილზე სათამაშოდ მსოფლიოს საუკეთესო ფეხბურთელი მოვიზიდო. განსაკუთრებით ყურადღებას გავამახვილებ იმ პოზიციებზე, რომელზეც მსოფლიოს საუკეთესო ფეხბურთელი ჯერ არ გვყავს. ჩემი აზრით, საყრდენი ნახევარმცველის როლში ყველას პატრიკ ვიეირა სჯობია“ — უთხრა პერესმა ინგლისურ გაზეთ გარდიანს.

რაც შეეხება ინგლისის ნაკრების კაპიტანს, დევიდ ბექემს, იგი, რაკიღა „რეალის“ პრეზიდენტი კვლავ პერესია, მადრიდული გუნდის ერთ-ერთ გმირად დარჩება.

პაპუნა კედია

კლოდ სიმონე: იცნობდეთ, საფრანგეთის ნაკრების მწვრთნელი რაიმონ დომენეკი

ჯვირას საფრანგეთში გამარჯვება იშვა! მებრძოლი დომენეკი

რასაც მთელი საფრანგეთი ელოდა, მოხდა: ქვეყნის ნაკრების მწვრთნელად რაიმონ დომენეკი დანიშნეს, ადამიანი, რომელიც 1993 წლის შემდეგ 21 წლამდელთა ეროვნულ გუნდს ხელმძღვანელობდა და შესაბამისად გახლდათ სამწვრთნელო საბჭოს წევრი. მისი ხელმძღვანელობით ახალგაზრდა ფრანგები 1994 და 1996 წლებში თანატოლთა ევრპის ჩემპიონატზე ნახევარფინალში გავიდნენ, 2002 წელს კი ფინალში ითამაშეს

ამ დანიშვნასთან დაკავშირებით საფრანგეთის ფეხბურთის ფედერაციის პრეზიდენტმა, კლოდ სიმონემ პრესკონფერენცია მოიწვია, სადაც გამოაცხადა:

„ჩვენ 41 განცხადება მივიღეთ, რომელთაგან ექვსი ნამდვილად სერიოზული გახლდათ. აქედან შორტლისტში მოხვდნენ სამნი, ლორან ბლანი, ჟან ტიგანა და რაიმონ დომენეკი. რის შემდეგაც ვიმსჯელეთ და თანამდებობაზე რაიმონ დომენეკი დავნიშნეთ“.

...ფეხბურთელობისას დომენეკი რომ გეხსენებინათ, ყველა გეტყოდათ, რომ თქვენ ფიზიკური ორთაბრძოლების მოყვარული ნახევარცველზე საუბრობთ, ეტყობა დღეს, დომენეკის ბიჭობიდან კარგა ხნის შემდეგ, ქვეყნის ფეხბურთის ფედერაცია მისგან ისევ სიხისტეს და ასე ვთქვათ, ფოლადს მოითხოვს — რაღაც ძალიან დარბილდნენ ლურჯები.

დომენეკმა მებრძოლის რეპუტაცია ჯერ კიდევ 16 წლისამ შეიძინა, როდესაც „ლიონის“ შემადგენლობაში პირველივე შეხვედრაში მეტოქეს ფეხი მოსტეხა. მას მერე უკან აღარ მოუხედავს...

1984 წელს, როდესაც მას უკვე მოვლილი ჰქონდა „სტრასბური“, „პარი სენ ჟერმენი“ და „ბორდო“ მუხლის ტრავმამ კარიერა დაასრულებინა. ამის შემდეგ დომენეკი მწვრთნელობას შეუდგა და უნდა ითქვას, რომ ახალ სფეროშიც თავისი მებრძოლი თვისებები გამოამჟღავნა. ერთი სიტყვით, დღეს, როდესაც 1952 წელს დაბადებულ 52 წლის კაცს ახალგაზრდულ ნაკრებში მუშაობის ათწლიანი გამოცდილება დაუგროვდა, მას შანსი ეძლევა თავისი მეთოდი ნაკრებში გამოსცადოს.

„ჩემი ცხოვრება პირველივ დღიდან ფეხბურთისგან, ფეხბურთისგან და ფეხბურთისგან შედგება, — ამბობს დომენეკი, — ხელბურთის თამაშიც ვცადე, ფრენბურთისაც, მაგრამ საბოლოოდ მაინც ფეხბურთის ფანატიკოსად ვრჩებოდი“.

სხვათაშორის, როდესაც დომენიკი „ლიონის“ სკოლაში მივიდა, რვა წლისა იყო, სხვა ბავშვებზე ორი წლით უმცროსი.

„რომ შემხედეს, ამიყვანეს, მერე ხუთი წელიწადის გატარება ერთსა და იმავე ასაკობრივ ჯგუფში მომიხდა, მაგრამ გავიდა სამი წელიწადი და პროფესიულ გუნდში გადამიყვანეს“.

ეს მოხდა 1969 წელს, როდესაც დომენეკი თევსმეტისა იყო.

„ენთუზიაზმისგან ვიწვებოდი და ენერგიის მოზღვავებას განვიცდიდი, პირველსავე თამაშში ძირითად შემადგენლობაში მოვხვდი და მას მერე თადარიგში არავის გადავუყვანივარ“.

სხვათაშორის საფრანგეთის ნაკრების მწვრთნელი ობიექტური კაცია:

„ჩემნაირი, ფიზიკური და ტექნიკური თვალსაზრისით შეზღუდული მოთამაშისთვის მხოლოდ საკუთარი თავისა და რეპუტაციის შექმნა იქნებოდა გამოსავალი და რეპუტაციამაც არ დააგვიანა, თავიდანვე მერგო“.

და დომენეკი მთელი შვიდი წლის განმავლობაში გახლდათ „ლიონის“ ერთ-ერთი წამყვანი ფიგურა. სამჯერ ითამაშა საფრანგეთის თასის ფინალში და ერთხელ, 1973 წელს, მოიგო.

1977 წელს დომენეკი „სტრასბურგში“ გადავიდა. აქ მან ხუთი წელიწადი დაჰყო, რვაჯერ ნაკრებშიც კი ათამაშეს და 79-ში საფრანგეთის ჩემპიონობაც დაიმშვენა.

1981 წელს დომენეკი „პარი სენ ჟერმენში“ გადადის, მაგრამ მოგვიანებით აცნობიერებს, რომ მოხვდა მაშინ ჯერ კიდევ დაუსრულებელ კლუბში, სადაც ყველა თავისთვის იყო.

„ორწლიანი კონტრაქტი მქონდა, მაგრამ პირველი სეზონის მიწურულს პრეზიდენტ ფრანსუა ბორელიოსთან [illegible] „თქვენ ორი წლისა წინასწარ გადაგიხადეთ, ახლა მაინტერესებს, რამდენი მმართებს. შეტად ვეღარ დავრჩები, რადგან ვატყობ, მალე ან სხვა ფეხბურთელს ვცემ ან მწვრთნელს გთხოვთ გამიშვათ“.

გაუშვეს. დომენეკი „ბორდოში“ გადავიდა, სადაც კიდევ ერთხელ გახდა საფრანგეთის ჩემპიონი.

„ბორდოში“ ორი წელიწადი გავატარე და ყოველდღე ემე ჟაკეს ვარჯიშებს ვაკვირდებოდი. „მულიუზში“ პირველ დღეს იცით რა მოხდა? ფეხბურთელები შეკრიბე და ტყეში გავიქეცით. ხუთ წუთში უკან მრო მოვიხედე, დავინახე ისინი 200 მეტრით ჩამორჩენილან. გავცოფდი და მივხვდი, ეს უკვე მწვრთნელობა იყო“.

მწვრთნელობა .მწვრთნელობად, მაგრამ შედეგი? „მულუზი“ ოთხი წელიწადი ჯახირობდა, პირველ დივიზიონში კი ვერ ადიოდა. 1988-ში დომენეკი „ლიონს“ დაუბრუნდა, ხოლო ხუთ წელიწადში თავისი ქალაქის გუნდი მეორე დივიზიონიდან წაიყვანა და ჩემპიონთა თასზე ათამაშა.

„1993 წელს დაღლა ვიგრძენი. ჩემს კონტრაქტს ვადა გაუვიდა, განახლება კი არ მინდოდა“.

ასე დამთავრდა დომენეკის კარიერის მეორე მონაკვეთი და დაიწყო მესამე: 21 წლამდელთა მწვრთნელის რანგში მან პირველი თამაში შვედებთან ფრედ დაასრულა. იმ გუნდში მწვრთნელს ზინედინ ზიდანი და კრისტოფ დუგარი ჰყავდნენ. შემდეგ მის ხელში გაიარეს ტიერი ანრიმ, დავიდ ტრეზეგემ, მიკაელ სილვესტრმა, ლუი საჰამ და ბრუნო პედრეტიმ.

„ვიცი, ეს ფეხბურთელები დღეს დიდი ნაკრების დონისანი არიან. მე მათ ყმაწვილკაცობისას ვწვრთნიდი და არც ახლა გამიჭირდება“.

და ბოლოს: კვირას რაიმონ დომენეკი და მის მეგობარ ქალბატონს გოგონა შეეძინათ. ამბობენ მამიკომ ვიქტორია ანუ გამარჯვება დაარქვაო.

პაპუნა კედია

ოტო მეფედ დარჩა

გერმანელი, რომელიც ემოციამ დაჯაბნა

საბერძნეთში ხალხი სიხარულით მეცხრე ცას სწვდა — ოტო რეჰაგელმა სამშობლო ბუნდესგუნდს, გერმანიის ნაკრებს გაძღოლაზე უარი შეუთვალა და 2006 წლამდე ელადში მუშაობა გადაწყვიტა

65 წლის რეჰაგელი გერმანელებს ეროვნული გუნდის შეფის თანამდებობაზე რუდი ფიოლერის შემცვლელად ეგულებოდათ, მაგრამ მან იმ ქვეყნის ერთგულება ამჯობინა, რომელსაც ახლახან ევროპის ჩემპიონობა მოაგებინა.

რეჰაგელს ამ ტრიუმფის შემდეგ ბერძნებმა „მეფე ოტო“ შეარქვეს და თავიანთ ეროვნულ გმირად შერაცხეს. ბერძენმა ფეხბურთელებმა გერმანელის ერთგულება სიხარულით მიიღეს.

ნაკრებისა და იტალიური „რომას“ ცენტრალური მცველი ტრაიანოს დელასი: „უკიდურესად მნიშვნელოვანია ჩვენმა მწვრთნელმა დარჩენა რომ გადაწყვიტა“.

ნახევარმცველი კოსტას კაცურანისი: „ვგრძნობ, რომ ერთ დიდ ოჯახად ცხოვრებას გავაგრძელებთ“.

სტელიოს ანაკოპულოსი: „ის ჩვენი ბიჭია, რომელმაც დამტკიცა, რომ

ოტო რეჰაგელის საბოლოო უარმა ფრანც ბეკენბაუერი გააოცა

ეს გუნდი უყვარს და მისი სწამს“.

„გაოცებული ვარ. მე უკვე კონტრაქტის დეტალებზე საუბრისთვის ვემზადებოდი. ერთადერთი, რითაც უარს ვხსნი ემოციაა, ალბათ მის საღ აზრს ჭარბმა გრძნობამ სძლია“ — განაცხადა თავის მხრივ რუდი ფიოლერის შემცვლელის მთავარმა მაძებარმა, გერმანიის საფეხბურთო კავშირის კომისიის თავმჯდომარემ ფრანც ბეკენბაუერმა.

შეგახსენებთ, რომ საბერძნეთის ნაკრები მსოფლიოს 2006 წლის ჩემპიონატის შესარჩევ ჯგუფში საქართველოს მეტოქეა და შეჯიბრებას 4 სექტემბერს ალბანეთში თამაშით ხსნის.

პაპუნა კედია

განსაკუთრებული მეოთხე

დროგბა მიყიდე და მოგცემ

ერნან კრესპოს „მილანი“ სურს...

„ჩელსის“ ბოსებმა „მილანის“ წარმომადგენლები ლონდონში დაპატიჟეს. მიზეზი: არგენტინელ ერნან კრესპოს ინგლისიდან იტალიაში სურს დაბრუნება. მან დაუფარავად განაცხადა, რომ ყოფილ მენტორთან, კარლო ანჩელოტისთან უნდა მუშაობა. შეგახსენებთ, რომ კრესპო ანჩელოტის ხელმძღვანელობით „პარმაში“ თამაშობდა. აღსანიშნავია, რომ კრესპოს მიმართ დიდი სიმპათია გამოხატეს მილანელებმაც

„თუ ერნანი ახალი კლუბის მოძებნას აპირებს, ხელს არ შევუშლით — განაცხადა „ჩელსის“ ახალმა მწვრთნელმა ჟოზე მაურინიუმ, რომელმაც, მოგეხსენებათ, მაისის მიწურულს „პორტუს“ ჩემპიონთა ლიგაში გაამარჯვებინა: „ძალიან არ მესიამოვნა პირველ დღეს ვარჯიშზე რომ არ მოვიდა, მაგრამ ერთი-ორი ბოდიში შემომითვალა და ეს ბოდიში მივიღე, ჩავთვალე, რომ შეურაცხყოფა დიდი არ ყოფილა. ახლა, უახლოეს დღეებში დავსხდებით და გადავწყვეტთ, რა ვუყოთ მას“.

აღსანიშნავია, რომ კრესპოს შემცველად „ჩელსიმ“ უკვე შეიგულა დიდიე დროგბა „მარსელიდან“. ასე რომ, უკვე ცხადია, რა თანხაზეც იქნება საუბარი — ალბათ, „ჩელსისთვის“ დროგბას ყიდვა „მილანს“ მოუწევს.

— იონ დალ ტომასონს კრესპო

ზემოთ ვახსენეთ, რომ კრესპოს სერია A-ში თამაშის დიდი გამოცდილება აქვს. იგი იყო „პარმაში“, „ლაციოში“ და „ინტერში“, რის მერეც პრემიერლიგაში გადავიდა, მაგრამ იქ ტრავმებმა შეუშალა ხელი თავის გამოჩენაში.

ხოლო მილანელმა დანიელმა, იონ დალ ტომასონმა მომავალი — ალბათ, ჯერ მაინც შესაძლო — თანაგუნდელის მიმართ დიდი სიმპათია გამოხატა:

„იმედი მაქვს, რომ კრესპო მილანში ჩამოვა, — თქვა ტომასონმა — ის განსაკუთრებული ფეხბურთელია და თითოეულ ჩვენგანს ძირითადში ადგილის მოსაპოვებლად კიდევ უფრო დიდი მონდომება დასჭირდება. მომავალ სეზონში ვალდებულნი ვართ ყველაფერი მოვიგოთ“.

მოგეხსენებათ, „მილანმა“ ახალგაზრდა მარკო ბორიელო „რეჯინას“ მიაქირავა, რითაც მეოთხე თავდამსხმელის ადგილი გაუნთავისუფლდა. კრესპოსაც სწორედ ამ მეოთხე თავდამსხმელობას უპირებენ, ვინაიდან ზემოხსენებულმა ტომასონმა ევრო 2004-ზე თავი ისე გამოიჩინა, რომ ანდრეი შევჩენკოსა და ფილიპო ინძაგის შემდეგ მესამე სწორედ ის იქნება.

„ჯერ კიდევ გასული სეზონის მანძილზე ვამჩნევდი, რომ კლუბი და თანაგუნდელები მეტად მენდობოდნენ, რაც ჩემს პროგრესზე მეტყველებს და ეს ძალიან მახარებს. ძალიან ბედნიერი ვარ ევრო 2004-ის სიმბოლურ ნაკრებშიც რომ შემიყვანეს“ — დასძინა ბოლოს დანიელმა.

ბაბუნა კედია

დღე პირველი

პორტუგალიის რვეული

1 დარდი და სევდა

თუ „ეშტადიო და ლუჟისკენ“ აღმოსავლეთიდან ან სამხრეთიდან მიდიხარ მანქანით, ახალი ბენფიკას უბანზე გაჭრილ ფართო გზასა და ხიდს მიუყვები. ეს ისეთი ადგილია, რომ სწრაფად სიარული შეგიძლია დიდ კორპუსულ უბანში და პირველი ნიშნული ყალბი და მატყუარა იქნება: მხარმარცხნივ დაინახავ ძველ წარწერას და ძველი, შეუკეთებელი სტადიონის კიდეს.

სანამ იმას იფიქრებ, რომ ეს სხვა სტადიონია, ეგებ გაოცებაც მოასწრო, რადგან კედელს უზარმაზარი ასოებით აწერია: „ეშტადიო და... ეს მხოლოდ ლისაბონის უნივერსიტეტის ძველი სტადიონია. ასეა, როცა პირველად მიდიხარ ლუჟზე. კი გინახავს ეს სტადიონი ფოტოზე და ეკრანზე, მაგრამ ლისაბონური სიცხით გაბეზრებული წამით მაინც მოტყუვდები. ამ ცრუნიშნულის შემდეგ ორი წუთი თუ გაივლი მანქანა მაღალ ესტაკადაზე შედგება და უეცრად, ისე, რომ არ მოელი, მხარმარჯვნივ რაღაც უზარმაზარი და მანათობელი ამოიზრდება, დიდი და თეთრი, ალისფერი კანტებით, ალისფერი მოაჯირებითა და ღობეებით. ამოიზრდება და კიდევ უფრო ამოდის და ამოდის, ისე, რომ სულ ხუთიოდ წამში გადმოჩრდილავს შენს გზას და ახლა, პირდაღებული, საბოლოოდ მიხვდები, რომ მოხვედი ლისაბონის ორი ულამაზესი სტადიონიდან ერთ-ერთზე, „ლუჟზე“, რაც სინათლეს ნიშნავს და, მგონი, სხვა რაღაცასაც, რადგან ლუჟი, ლუზი, იმ ლეგენდარული ქვეყნის მეფეც ყოფილა, ადრე რომ პორტუგალიის ადგილას გაფენილიყო და ლუზიტანია რქმეოდა.

მაგრამ ახლა ლუზი ფეხბურთია. უზარმაზარი ოქროსფერი არწივი საპატიო ტრიბუნის შემოსასვლელის თავზე, უზარმაზარი ოქროსფერი არწივი და მის შორიახლო ცოცხალი კაცის, ეუსებიოს თავმდაბლური, უპრეტენზიო ძეგლი, რა თქმა უნდა, მიგახვედრებთ, რომ ეს ლისაბონური კლუბის, პორტუგალიური ფეხბურთის ძველი მეთაურის, დიადი და ქალაქის ამ ნაწილში უპირობოდ გაბატონებული, „ბენფიკას“ საბრძოლო ადგილია.

აქედან სამ კილომეტრში, აღმოსავლეთით დგას არანაკლები იერისა და კიდევ უფრო სამხრეთული ფერებით, მთლად მზეს მორგებული ხასხასა მწვანე, თეთრი და ყვითელი სამოსით მორთული „ჟუზე ალვალადე“, ანუ ალვალადე 21-ე, ანუ ახალი საუკუნის სტადიონი. ცხადია, „სპორტინგის“, „ბენფიკას“ მარადი მეტოქის სახლი.

თუმცა ორ ძველ მოქიშპეს ახლა მთავარი მტერი ჩრდილოეთში ჰყავს, რადგან პორტუგალიური საკლუბო ფეხბურთის დღევანდელი სახე „პორტუა“ და არა ძველი ლისაბონური გრანდები, მაგრამ მარად მეტოქეობას ძველ ქალაქში არაფერი მოსვლია: „ბენფიკამ“ შექმნა პორტუგალიური ფეხბურთის სახე, შუა წელი „სპორტინგმა“ იტვირთა, „პორტუმ“ კი საუკუნე დაასრულა და დაიწყო დიდებითა და სახელით. თუმცა, მივუბრუნდეთ „ეშტადიო და ლუჟს“, სრულიად ახალს, ევროპას ჩემპიონატისათვის აგებულს ძველი „ლუჟისგან“ არცთუ ისე შორს. ძველი „ლუჟიდან“ ახალზე მხოლოდ ეუსებიოს ძეგლი გადმოვიდა. ჩემპიონატის ორგანიზატორებს კი უნდოდათ, რომ მილანისთვის მიებაძათ და ერთი გრანდიოზული სტადიონი აეშენებინათ ახალ ბენფიკაში, რომელსაც „სპორტინგი“ და „ბენფიკა“ გაინაწილებდნენ, მაგრამ არ გამოვიდა. კლუბებმა იუარეს. არცერთი დათანხმდა ისტორიის გაერთიანებას და ერთ ჭერქვეშ მოქცევას. „ლუჟის“ მორთულობა, სკამები, ხალვათი ჰოლები და იარუსები მხოლოდ ალისფერია, „ალვალადესი“ თეთრი და მწვანე. და ეშმაკმა წამიღოს, ეს ძალიან ლამაზია. წარმოუდგენლად ლამაზი. საერთოდ, ევრო 2004-სთვის ნაშენები სტადიონები პორტუგალიაში ზღაპრული გამოვიდა. გადაკეთებულებიც საოცარი. ერთადერთი ადგილი, სადაც მინდორს ძველმოდური სარბენი ბილიკები ჰყოფს ტრიბუნებისგან, კუიმბრას საქალაქო სტადიონია, რომელიც ძველ ყაიდაზეა მოჭრილი. ავეიურში კი სრულიად ჯადოსნური სტადიონი აუშენებიათ, თითქოს მის ამშენებლებს კუბიკებით მოთამაშე ბავშვებისთვის უმზერიათო. ბრაგაში სულაც კლდეში გამოუკვეთიათ სასტადიონე ადგილი. ფერი ხომ ისედაც საუცხოო შემამკობელია პორტუგალიური სტადიონებისთვის. მზის ქვეყანაში ისინი ნათელი და შემტევია. მთავარი კი მაინც „ეშტადიო და ლუჟ“ გამოდის — ფინალის ადგილი, სადაც დამარცხებულმა პორტუგალიის ნაკრებმა ყველაზე მეტჯერ ითამაშა.

სელესაო 04-ის მასპინძელი იყო პორტუს „დრაგაუც“ და ნახსენები „ალვალადეც“, მაგრამ „ლუჟზე“ ყველაზე მეტი თამაში გამოვიდა. ბოლო მატჩამდე „ლუჟი“ იღბლიანი იყო მასპინძელთათვის. ბოლოს კი... მიუხედავად ყველაფრისა, ეს ფინალი ბერძნებსა და მასპინძლებს შორის უფრო პორტუგალიური ისტორია იყო, ვიდრე ბერძნული.

— მომისმინე, მეგობარო, სამი დღის წინ მე და ჩემი ორი ძმაკაცი პარიზში ვსვამდით. საბერძნეთი ნახევარფინალში გავიდაო და ავიკრიფეთ და წამოვედით. პორტუში ვიყავით, მთვრალები. თამაშის წინ ინგლისელი ბიჭი იდგა და ფინალის ბილეთს 50 ევროდ ყიდდა. არ ვიყიდეთ. მთვრალები ვიყავით. თან ჩეხები... ხო იცი ჩეხები? გა-

დღე უკანასკნელი



მოვედით მოგებულები და ფინალის ბილეთებს აღარავინ ყიდდა. მე დავანგრევ მაგ სტადიონს, თუ ფინალის ბილეთი ვერ ვიშოვე ლისაბონში, — აი, ამ სამატარებლო ამბის და ათასი ასეთი ბერძნული ამბის მიუხედავად, იმის მიუხედავად, რომ ოტო რეჰაგელი და მთელი ამბავი, ეს უფრო პორტუგალიური ისტორია იყო, სელესაოს დამარცხების ისტორია და არა ბერძნების უნიკალური, მოულოდნელი, საოცარი გამარჯვებისა ევროპის ჩემპიონატზე, რომელსაც ჰყავს ტრადიციული ფავორიტები და ხალხიც ტრადიციულად მიუდგება ხოლმე: იტალია, საფრანგეთი, გერმანია და ასე. მაგრამ ჩემპიონატი პორტუგალიაში იყო და ბევრი რამ რომ სხვანაირად იქნებოდა, არა მხოლოდ საგუნდო და სათამაშო ვითარებანი მიახვედრებდა კაცს.

პორტუგალია არ იყო ტრადიციული საფეხბურთო მასპინძელი, ბოლო მაგალითები რომ მოვიშველიოთ, ვთქვათ, კორეის ყაიდის მასპინძელი. პორტუგალია მინდორსგარეთა მასპინძელი იყო, ანუ ნამდვილი, ადამიანური მასპინძელი. ხოლო მასპინძლობა პორტუგალიამ ისეთი იცის, რომ, მართალია, გოჭს არ დაგიკლავს, მაგრამ შემოგეგებება მზით, ადამიანური სითბოთი, სიმშვიდით, კაეშნით და გულწრფელი ხალისით და შენც განიარაღებული ხარ.

თხუთმეტი ქვეყნიდან დაძრულ გულშემატკივართა ლაშქრებში ძნელად მოძებნიდი ისეთ კაცს, რომელსაც არ ეთქვა, ჩემი გუნდის შემდეგ მასპინძლებს ვქომაგობო და ეს საკვირველიც იყო და მისახვედრიც. არ შეიძლება, ამ საოცარ ქვეყანაში რაღაცით არ აღნიშნო შენი მადლიერება იმ არაჩვეულებრივი გარემოსადმი, რომელშიც აღმოჩნდი.

12 ივნისი, პორტუ, „დრაგაუ". პორტუგალიის ნაკრები გახსნის მატჩს აგებს ბერძნებთან, პირწმინდად, არეულად, განწირულად, რომ შეხედავ, პორტუგალია გუნდი არ არის. რომ დაფიქრდები, ამ დღის შემდეგ პორტუგალიისთვის ყველა თამაში ფინალის სწორია. პორტუგალიას ამოსუნთქვის საშუალება აღარ ექნება. საერთოდ იოლი ჩანს, რომ მათ დაარტყა. პორტუგალიელთა თამაშს რომ უყურებ, მათი დაუცველობის, იოლად წაქცევის სურათი აშკარაა. მცველების უვარგისობაზე კი არ ვამბობ, ზოგადად დაუცველობაზე. ამით ეგებ მივადგეთ კიდეც აქაური ხასიათის ერთ-ერთ თვისებას. ეს ძალიან განმცდელი და უთქმელი ხალხია, აქ არ არის ესპანური ხმამაღალობა და თავზე ხელის აღება, კორიდაც კი უსისხლოა. გამოუთქმელი განცდა და მღელვარება. „დრაგაუზე" მარცხის შემდეგ სულ უბრალო კაცი, სულ რიგითი გულშემატკივარი პორტუში ერთადერთ სიტყვას გეტყოდათ; ნერვები. ისინი ღელავენ, რომ ჩვენს თვალწინ, შინ თამაშობენ და იციან, რომ ჩვენ მათგან გამარჯვებას მოველით. ისინი ღელავენ. მღელვარება სახეზეა. მღელვარება მინდორზე ჩანს. გაივლის კიდევ ოცი დღე, პორტუგალიის ნაკრები უკვე ფინალში იქნება და ეს გამოუთქმელი, უცნაური მღელვარება პასუხისმგებლობის გამო, მშობლიური კედლების გამო, კიდევ ერთხელ იჩენს თავს და გულშემატკივრები კვლავ იტყვიან: ნერვები.

თქვენ დაინახავთ, როგორ ტირის პატარა რონალდო, როგორ იკავებს კბილებით ქვედა ტუჩს ფიგუ და როგორ აგდია მოედანზე რუი კოშტა. ჩემპიონებს დააჯილდოვებენ, ატყდება ულამაზესი ფეიერვერკი, რუი კოშტა კი მოედანზე ჩამჯდარა და როდისროდის, ვიღაცეებს გაახსენდებათ, წამოაყენებენ და გაიყვანენ. გინახავთ რუი კოშტას ფეხები? შიშველი ფეხები აუწერელი ოდენობის ნახმლევებით, სხვათა ფეხისა და ქირურგის დანის სამუდამო კვალით? ზის ეს კაცი, ვინც ყველაზე კარგად ითამაშა ფინალში და თითქოს მთელი პორტუგალიური ხასიათის სიმბოლოდ ქცეულა. ყველა შეთანხმდება: რუი კოშტას რომ თავიდანვე ეთამაშა, ფინალი სხვანაირად წავიდოდა. მაგრამ იქამდე ჯერ ძალიან შორია. წინაა პორტუს ცარიელი, მდუმარე ქუჩები 12 ივნისის საღამოს. უცებ დაცლილი „დრაგაუ". ისე დაცლილი, რომ ვერ გაიგებ, სად გაქრა, როგორ მივიდა სახლამდე ამდენი კაცი. როგორ დაიკეცა ასე სწრაფად დროშები და დაიმალა შარფები. და დუმილი, მთელს ქალაქში. და მთელს ქალაქში ეს უცნაური პორტუგალიური სიტყვა, სოდად, რომელიც არ ითარგმნება და რომელიც სწორედ ამასწინანდელ გამოკითხვათა მიხედვით მსოფლიოს ათ უთარგმნელ სიტყვაში შესულა. შეიძლება ოცი მსგავსი რამ ჩამოვთვალოთ, ზუსტად მაინც ვერ ავხსნით ამ სიტყვას. სევდა, დარდი, უთქმელობა, მარტოობა, კაეშანი, მელანქოლია, მაგრამ საგანგებოდ პორტუგალიური, რაც არ არის მხოლოდ სევდა, კაეშანი ან მელანქოლია. ეს არის ხასიათის ნაწილი.

ამიტომაც ვამბობ, ეს ჩემპიონატი პორტუგალიის დამარცხების ისტორიაა. სელესაოს დამარცხების ისტორია, რომელიც მიიღო და გადახარშა პორტუგალიურმა ხასიათმა. მიიღო ღირსეულად და უთქმელად და მოერია. როგორც სხვა ათასს მორევია. ეს უცნაური რამ იყო: ჩემპიონატი იმით დასრულდა, რითაც დაიწყო: ბერძენთაგან მასპინძელთა ძლევით ქვეყნის ჩრდილოეთსა და სამხრეთში, დღე პირველი და დღე უკანასკნელი, ორ სხვადასხვა სტადიონზე, იმ ადგილებში, სადაც დგას ჩემპიონთა თასის ასლები, პორტუგალიამ ორი თამაში წააგო, ამათ შორის კი იყო ოთხი დიდი სახალხო დღესასწაული, გამოწვეული სწორედ პორტუგალიელთა გამარჯვებით.

წითელი, ყვითელი, მწვანე და ყველა სხვა დანარჩენი.

ალილუია! ალილუია! ალილუია! — ასე დასძახა გაზეთმა „ა ბოლამ" მას შემდეგ, რაც პორტუგალიელებმა დაძლიეს ჰოლანდიელები და ფინალში გავიდნენ.

მაგრამ გმირები სხვები იყვნენ. უფრო სწორად, სხვები გამოდგნენ. თუმცა თავიდან სულ სხვები ეგონათ. ევროპის ჩემპიონატი საუცხოო იყო, თუმცა მას მაინც უნდა დავარქვათ რამდენიმე გუნდის დამარცხების ჩემპიონატი, პირველ რიგში კი მასპინძლებისა. ჩვენ კიდევ დავუბრუნდებით „ეშტადიო და ლუჟს", ან თუნდაც აზორის კუნძულებს, სადაც სან მიგელის მოსახლეობა ყოველდღიურად ელოდა ერთადერთ რამეს, როდის გაიტანდა გოლს პაულეტა — პირველი კაცი ამ ოკეანეში დაკარგული ადგილიდან, სელესაოში რომ მოხვდა. აზორის ციკლონი კი ღელავდა, ვერ გაჰქონდა. ბოლოს ფინალში ელოდნენ, როცა სკოლარიმ თქვა, რომ მაინც ენდობა პაულეტას, ამიტომ მას გამოიყვანს თერთმეტ კაცში. პაულეტამ მაინც ვერ გაიტანა.

ეს ყველაფერი იყო და იმაზე მეტიც.

რა თქმა უნდა, დავუბრუნდებით „ეშტადიო და ლუჟს", სადაც ფეიერვერკი იყო მზად და იფეთქა კიდეც. მაგრამ ეს სევდიანი ფეიერვერკი იყო. პეტარდების ფერები: წითელი, მწვანე და ყვითელი. პორტუგალია ელოდა გამარჯვებას. თუნდაც იმიტომ, რომ 12 ივნისის შემდეგ ყველა თამაში უნდა მოეგო და მოიგო ყველა თამაში, წვალებით, ოფლის ღვრითა და ომით.

გაგრძელება იქნება

ვინჩენცო მონტელა მატარებელს აჩერებს

იტალიური „რომას" შემადგენლობაში იგი დიდი ხანია არ გამოჩენილა. მიზეზი კი მუხლის ის ტრავმა იყო, რის გამოც მას ორი რთული ოპერაცია გაუკეთეს. მონტელას ჯვარედინი იოგები ჰქონდა გაწყვეტილი. ახლა კი 30 წლის ფორვარდი ამტკიცებს, ჯანზე ვარ და ძველებურადაც ავთამაშდებიო.

„ბოლო ორი თვე არანორმალური დატვირთვით ვვარჯიშობდი, რადგანაც მსურს, საუკეთესო ფორმა მალე დავიბრუნო. საბედნიეროდ, მუხლი აღარ მაწუხებს" — ამბობს ვინჩენცო.

მოკეთებული რომაელი დიდ გულზე კია, თუმც იტალიურ პრესაში დღემდე იწერება, მისმა მატარებელმა უკვე ჩაიარა და ვინჩენცო უმაღლეს დონეზე თამაშს ვეღარ შეძლებსო. გენუის „სამპდორიას" ყოფილი ფეხბურთელი ოპონენტებს ასე პასუხობს:

„ბევრი მაკრიტიკებს. ამბობენ, რომ ყოფილი ვარსკვლავი ვარ და ჩემი შესაძლებლობების მაქსიმუმი უკვე გამოვავლინე. რა ვუყოთ, პასუხს ყველას თამაშით გავცემ. ახლა 30 წლის ვარ და ვგრძნობ, „რომას" კვლავაც მოვუტან სარგებელს".

დღეს „რომა" ახალი სეზონისთვის იწყებს მზადებას.

გიორგი კაკაბაძე

ბირმინგემმა ჩელსი იყიდა

იესპერ გრონკიაერი მელხიოტს დაეწია



ინგლისურმა „ბირმინგემმა" დანიელი ნახევარმცველი იესპერ გრონკიაერი გადაიბირა და ორწლიანი კონტრაქტი გაუფორმა.

პრემიერლიგული კლუბის განცხადებით, დანიელის სანაცვლოდ „ჩელსის" 2 მილიონ 200 ათასი გირვანქა გადაუხადეს.

გუნდებს შორის გარიგება ჯერ კიდევ ევროჩემპიონატის მსვლელობისას შედგა, მაგრამ ბირმინგემელები ფეხბურთელთან ჯამაგირზე ვერ თანხმდებოდნენ — ახლა ყველაფერი მოგვარდა.

გრონკიაერის წაყვანა ესპანურ „სევილიასაც" სურდა, თუმც გუშინწინ გადაიფიქრა.

„ბირმინგემმა" ამ ზაფხულს უკვე მეხუთე ფეხბურთელი შეიძინა. აქამდე ემილ ჰესკის, მაზი იზეტის, დანიელის ჩელსელ თანაგუნდელ მარიო მელხიოტისა და „კრისტალ პალასის" ჯულიან გრეის გადაყვანა მოასწრეს.

„ძალიან მომეწონა სტივ ბრიუსის საქმისადმი — „ბირმინგემის" მწვრთნელი — დამოკიდებულება და დარწმუნებული ვარ, წარმატებული სეზონი გვექნება" — განაცხადა ბოლოს ახალი კონტრაქტით ხელდამშვენებულმა იესპერ გრონკიაერმა.

ვაჟა ხუციშვილი

გარიგება! მსაჯები ფეკვეთით უსტვენდენ?

ეს კაცი მარკო გაბრიელეა— შემჩნეულია გარიგებაში

გუშინ სერია A-ს ორი მსაჯი მარკო გაბრიელე და ლუკა პალანკა არალეგალურ ტოტალიზატორებთან კავშირში ეჭვმიტანილებად ცნეს და ფეხბურთს დროებით ჩამოაცილეს — ისინი დისკვალიფიცირებულნი არიან.

გაბრიელემ და პალანკამ გასულ სეზონში დაახლოებით 46 მატჩი იმსაჯეს. მათ გარდა, ამ ამბავში ფეხბურთელები და კლუბების ხელმძღვანელებიც ყოფილან გარეულნი, სულ კი 12 კაცი.

„დისკვალიფიკაცია ასეთ დროს სტანდარტული პროცესია — განაცხადა იტალიის მსაჯთა ასოციაციის პრეზიდენტმა ტულიო ლანეზემ — საქმე ძიებაშია და ეჭვმიტანილთა შესახებ ჯერ ვერაფერს ვიტყვი.“

ერთი სიტყვით, იტალიაში ახალი სკანდალი გორდება და ვაი, მისი ტყავის ბრალი, ვისაც მაქინაციებში შეამჩნევენ.

ვაჟა ხუციშვილი

ჯილარდინო ბარალდის ჯილაა

პარმას ფერარი გაექცა

იტალიური „პარმას“ ბოსებმა განაცხადეს, რომ ალბერტო ჯილარდინოს, დანიელე ბონერას და სებასტიან ფრეის ტრანსფერზე არ დააყენებენ.

ამ ზაფხულს სამივე ფეხბურთელის გადაბირების მსურველი რამდენიმე კლუბი გამოჩნდა, მაგრამ ვალებში ჩაფლულმა პარმელებმა მოთამაშეების შენარჩუნება მაინც გადაწყვიტეს.

„გარწმუნებთ, რომ ჯილარდინოს არ ვყიდით და მის თაობაზე მოლაპარაკებას არავისთან ვაწარმოებთ“ — თქვა კლუბის დირექტორმა ლუკა ბარალდიმ და დასძინა, რომ ფრეი და ბონერაც გუნდში რჩებიან.

ალბერტო ჯილარდინო, ვინაც იტალიის ახალგაზრდულ ნაკრებს ევროჩემპიონობა დიახაც, რომ მოაპოვებინა „რომას“, „იუვენტუსს“ და მადრიდის „რეალის“ თითქოს სურდათ, მაგრამ მათგან პარმელებს კონკრეტული შეთავაზება არ მიუღიათ.

ერთადერთი, ვინც გუნდიდან წავიდა, მცველი მატეო ფერარი გახლავთ, იგი „რომაში“ გადაბარგდა. „მისი ტრანსფერი საბოლოოდ მომავალ კვირაში მოგვარდება“ — აღნიშნა ბრალდიმ.

ფერარი „რომას“ ახალი მწვრთნელის, ჩეზარე პრანდელის წლეულს პირველი შენაძენია.

ვაჟა ხუციშვილი

ლუა ლუა პორტსმუთზე გადაირია

პრემიერლიგურმა „პორტსმუთთმა“ გუშინ ორ ფეხბურთელთან გააფორმა კონტრაქტი: ლომანა ტრეზორ ლუა ლუა და დევიდ ანსუორთი ოფიციალურად გახდნენ ჰარი რედნაპის შეგირდები.

ლუა ლუა „ნიუკასლის“ მოთამაშე იყო და იგი გასულ სეზონში ოთხი თვით იყო განათხოვრებული რედნაპის გუნდში. კონგოელმა ფორვარდმა ფანების დიდი სიმპათია დაიმსახურა, იქაურებს თავი მოაწონა და საბოლოოდ, სამწლიან კონტრაქტსაც გამოჰკრა ხელი, ანუ პორტსმუთელებმა ფეხბურთელი საბოლოოდ გამოისყიდეს.

„ის ფიზიკურად ძალიან ძლიერია, სწრაფია და კარგი პასი აქვს — განაცხადა მწვრთნელმა ჰარი რედნაპმა — გულშემატკივრებს უყვართ და მიხარია, რომ აქ დარჩა“.

30 წლის მცველი დევიდ ანსუორთი კი „ევერტონში“ თამაშობდა და „პორტსმუთში“ თავისუფალი აგენტის სტატუსით გადავიდა. „მე ყოველთვის ევერტონელად დავრჩები, რადგან „გუდისონ პარკზე“ 12 წელი გავატარე, მაგრამ ჩემი ბედით ახლაც კმაყოფილი ვარ, რადგან რედნაპთან მუშაობა სასიამოვნოა“ — თქვა ანსუორთმა.

ვაჟა ხუციშვილი

ფეხბურთის რუკასთან

ინგლისური „ლივერპულის“ ახალ თავკაც რაფაელ ბენიტესს თავისი ყოფილი შეგირდის, მისტას გადაბირება სურს. ფორვარდმა „ვალენსიასთან“ კონტრაქტი არ გაახანგრძლივა, მაგრამ ესპანელები მის დატოვებას ყველანაირი ხერხით ცდილობენ. „ვალენსიას“ წარმომადგენლებმა განაცხადეს, მისტას მხოლოდ იმ შემთხვევაში გავყიდით, თუ ინგლისელები სანაცვლოდ ჩეხ მილან ბაროშს მოგვცემენო, რაიც მერსისაიდელთა ხელმძღვანელობამ უმალვე იუარა.

იტალიური „ინტერის“ ახალგამომცხვარ მწვრთნელ რობერტო მანჩინის მცველ სინიშა მიხაილოვიჩის გადაბირება უნდა. სერბი სინიშა უფულო „ლაციოსთან“ კონტრაქტის გახანგრძლივებას არ აპირებს და მზადაა, ყოფილი მასწავლებლის წინადადება მიიღოს. „ზარს უფრო კლუბის ხელმძღვანელობისგან ველი. მანჩინის უკვე ვესაუბრე, ახლა მთავარი „ინტერის“ შეფთა სურვილია“ — განაცხადა მიხაილოვიჩმა.

ინგლისური „ევერტონის“ თავკაცი დევიდ მოიესი ყველანაირად ცდილობს, უეინ რუნი შეინარჩუნოს. „ევროპის საუკეთესო ახალგაზრდა ფორვადზე უარი რატომ უნდა ვთქვა? მაქსიმალურად ვეცდები, რუნი გუნდში დავტოვო“ — განაცხადა მოიესმა. იცით, ლივერპულელებმა თავის ვარსკვლავს ახალი, ხუთწლიანი კონტრაქტი შესთავაზეს. ხოლო, თუ რუნი მაინც დატოვებს „გუდისონ პარკს“, „ევერტონი“ მის შემცვლელად ბრემენის „ვერდერის“ ბერძენ თავდამსხმელ ანგელოს ხარისტიასს გადაიბირებს.

უნგრეთის ეროვნული გუნდის გერმანელმა მწვრთნელმა ლოთარ მათეუსმა განაცხადა, მზად ვარ მშობლიური ნაკრები ჩავიბაროო. „თუ საჭიროდ ჩამთვლიან, გერმანიას აუცილებლად დავეხმარები. საკუთარი თავის მჯერა და ვიცი, ფეხბურთელები ჩემს რჩევებს მიიღებენ. ვფიქრობ, ვენაში, ბელგრადში და უნგრეთში მუშაობამ სათანადო გამოცდილება შემძინა“ — თქვა მათეუსმა.

არგენტინელ დიეგო მარადონას 17 წლის ვაჟი, უმცროსი დიეგო ამიერდან ინგლისურ „ბლექბერნში“ იბურთავებს. ივი აქამდე მამამისის ყოფილ კლუბ „ნაპოლის“ ახალგაზრდულ გუნდში თამაშობდა. „მარადონა უმცროსი კარგი ფეხბურთელია, ის ჩვენს კლუბში ითამაშებს. აშკარაა, რომ ნეაპოლში დიეგო სერიოზულ ფსიქოლოგიურ ზეწოლას განიცდის და მისთვის უკეთესია, ძალები სხვაგან მოსინჯოს“ — განაცხადა „ბლექბერნის“ მწვრთნელმა გრემ სუნესმა.

ინგლისური „ტოტენჰემის“ ახალ თვკაც ჟაკ სანტინის არგენტინელ კილი გონსალესის შეძენა აქვს გადაწყვეტილი. ერთი წლის წინ ნახევარმცველი მილანის „ინტერმა“ კლუბის მაშინდელი მწვრთნელის, ექტორ რაულ კუპერის თხოვნით იყიდა „ვალენსიისგან“. კუპერის წასვლის შემდეგ კი კილი არც ისე ხშირად ხვდებოდა „ნერო-აძურის“ ძირითადში.

უკრაინულმა „შახტარმა“ ბრაზილიელ ფრანსელინო მატუზალემის ყიდვის შემდეგ სერია A-ს კიდევ ერთ მცველს, კიევოელ ანდრეა ბარძალის დაადგა თვალი. 23 წლის ფეხბურთელი იტალიის ახალგაზრდული ნაკრების წევრია და ამასწინათ, გერმანიაში დასრულებულ ევროპის ჩემპიონატის მოგებაში მისი წვლილიცაა. ბარძალის გადაბირებით თურმე, მილანის „ინტერიც“ ყოფილა დაინტერესებული. „მსურველები არიან, მაგრამ კონკრეტული წინადადება ჯერ არ მიგვიღია“ — აღნიშნა „კიევოს“ სპორტულმა დირექტორმა ჯოვანი სარტორიმ.

ინგლისურმა „ასტონ ვილამ“ ლონდონის „ჩელსისგან“ თავდამსხმელი კარლტონ კოული ერთი სეზონით ინათხოვრა. „კარლტონი ძალიან ახალგაზრდა და პერსპექტიული ფეხბურთელია, მისი გადაბირება არაერთ კლუბს სურდა. მოხარული ვარ, რომ ყველას ჩვენ ვაჯობეთ“ — განაცხადა ბირმინგემელთა პრეზიდენტმა ბრიუს ლენგემმა. შეგახსენებთ, რომ კოული გასულ სეზონში „ჩარლტონში“ იყო განათხოვრებული.

შვედეთი

ალსვენსკა. XI ტური

ელფსბორგი 1:0 აიკ
გიოტებორგი 2:0 ტრელებორგი
ჰალმსტადი 2:2 იორგრიტე
ჰელსინგბორგი 0:0 იორებრო
კალმარი 1:1 ლანდსკრონა

ჰალმსტადი	11	7	3	1	26:13	24
ჰამარბი	11	7	2	2	12:7	23
მალმიო	11	5	5	1	16:5	20
კალმარი	11	5	4	2	15:10	19
გიოტებორგი	11	5	3	3	11:6	18
სუნდსვალი	11	3	5	3	10:10	14
იურგორდენი	10	3	4	3	14:15	13
იორგრიტე	12	2	6	4	12:16	12
ელფსბორგი	11	3	3	5	8:15	12
იორებრო	11	3	3	5	12:21	12
ლანდსკრონა	11	2	4	5	12:16	10
აიკ	11	2	4	5	6:11	10
ტრელებორგი	11	2	3	6	7:13	9
ჰელსინგბორგი	11	1	5	5	14:17	8

ფინეთი

ვეიკაუსლიგა. XIII ტური

კტპ 1:1 ჯაზი
ტპ-47 2:0 ჰაამენლინა
ტურკუ 1:0 მიუპა

ჰაკა	14	8	4	2	26:8	28
ინტერი	13	8	2	3	30:18	26
ალიანსი	13	7	3	3	18:14	24
ტურკუ	14	7	2	5	22:18	23
ჰიკ	14	5	7	2	23:15	22
ტამპერე	11	6	3	2	14:7	21
კტპ	13	5	4	4	18:16	19
ტპ 47	12	5	3	4	17:13	18
ლაჰტი	14	3	8	3	16:18	17
ჯაზი	13	4	3	6	22:24	15
მიუპა	11	3	3	5	10:16	12
როვანიემი	13	2	2	9	12:30	8
იარო	12	2	1	9	12:27	7
ჰაამენლინა	13	1	3	9	13:29	6

ამხანაგური მატჩი

აშშ 1:1 პოლონეთი

0:1 ვლოდარჩიკი (76), 1:1 ბოკანეგრა (88)

სარგებელი: კროკი

წარმოგიდგენთ

სხვა სახის ფსონებს გაეცნოთ ადგილზე

ავსტრია. ბუნდესლიგა. I ტური

			1	X	2	1-X	1-2	X-2
		13 ივლისი						
21.30	175	ტიროლი-გრაცერი	2,9	3,2	2,25	1,52	1,26	1,32
		14 ივლისი						
21.30	176	აუსტრია-ადმირა	1,3	4,6	8,0	1,01	1,11	2,92
21.30	177	ბრეგენცი-რაპიდი	2,6	3,2	2,4	1,43	1,24	1,37
21.30	178	ზალცბურგი-პაშინგი	2,3	3,2	2,8	1,33	1,26	1,49
21.30	179	შტურმი-მატერსბურგი	1,75	3,3	4,2	1,14	1,23	1,84

შვედეთი. ალსვენსკა. XI ტური

		14 ივლისი						
22.00	189	იურგორდენი-მალმიო	2,15	3,2	3,1	1,28	1,26	1,57

ფინეთი. ვეიკაუსლიგა. XIV ტური

		14 ივლისი						
19.30	213	როვანიემი-ჰაამეენლინა	1,9	3,2	3,5	1,19	1,23	1,67
		15 ივლისი						
19.00	214	მიუპა-კტპ	1,7	3,3	4,4	1,12	1,22	1,88
19.30	215	ტპ 47-ლაჰტი	2,1	3,2	3,1	1,26	1,25	1,57
19.30	216	იარო-ტამპერე	3,3	3,2	2,0	1,62	1,24	1,23

ისლანდია. პრემიერ დივიზიონი. XI ტური

		13 ივლისი						
23.15	226	ვესტმანაეიარი-გრინდავიკი	2,0	3,2	3,3	1,23	1,24	1,62
23.15	227	ვიკინგური-ფრამი	1,9	3,1	3,6	1,17	1,24	1,66
23.15	228	კეფლავიკი-აკურეირი	2,3	3,0	2,9	1,3	1,28	1,47

რუსეთი. პრემიერლიგა. XVI ტური

		14 ივლისი						
15.00	247	სატურნი-შინიკი	1,6	3,3	5,3	1,07	1,22	2,03

ბრაზილია. სერია A. XV ტური

			1	X	2	1-X	1-2	X-2
		13 ივლისი						
03.30	268	კორინთიანსი-კრიციუმა	1,9	3,2	3,5	1,19	1,23	1,67
03.30	269	ფიგეირენსე-პარანა	1,5	3,6	5,6	1,05	1,18	2,19
03.30	270	გრემიო-კრუზეირო	2,3	3,2	2,7	1,33	1,24	1,46
03.30	271	ვუარანი-ინტერნასიონალი	2,25	3,2	2,8	1,32	1,24	1,49
03.30	272	ქუვენტუდი-ფლუმინენსე	2,0	3,2	3,3	1,23	1,24	1,62
03.30	273	პაისანდუ-პონტე პრეტა	2,3	3,1	2,8	1,32	1,26	1,47
03.30	274	ატლეტიკო მნ-ვიტორია	1,8	3,3	3,6	1,16	1,19	1,72
03.30	275	ატლეტიკო პრ-გოიასი	1,9	3,2	3,5	1,19	1,23	1,67
03.30	276	ვასკუ და გამა-კურიტიბა	1,65	3,3	4,8	1,1	1,22	1,95
04.45	277	ბოტაფოგო-პალმეირასი	2,7	3,2	2,3	1,46	1,24	1,33
04.45	278	სანტოსი-ფლამენგო	1,4	3,8	7,0	1,02	1,16	2,46
04.45	279	სან კეტანო-სან პაულუ	2,15	3,2	3,0	1,28	1,25	1,54

ჩემპიონთა ლიგა

		13 ივლისი						
20.00	308	სლიემა-კაუნასი	2,8	3,1	2,3	1,47	1,26	1,32
22.00	309	პობედა-პიუნიკი	1,4	4,0	6,5	1,03	1,15	2,47
22.15	310	შიროკი ბრიეგი-ნეფოჩი	1,3	4,2	8,0	1	1,11	2,75
		14 ივლისი						
18.00	311	ვიტ ჯორჯია-ჰბ	1,15	5,0	10,0	1	1,03	3,33
19.00	312	გომელი-ტირანა	1,6	3,5	4,8	1,09	1,2	2,02
19.30	313	სკონტო-რილი	1,15	5,6	11,0	1	1,04	3,71
20.00	314	ფლორა-გორიცა	2,6	3,1	2,4	1,41	1,24	1,35
21.00	315	შერიფი-უენესი	1,15	5,6	11,0	1	1,04	3,71
22.45	316	ლინფილდი-ჰიკ	3,1	3,1	2,15	1,55	1,26	1,26
24.00	317	რეიკიავიკი-შელბურნი	2,05	3,1	3,3	1,23	1,26	1,59

უეფას თასი

		13 ივლისი						
19.00	320	აშტარაკი-ჰონვედი	3,1	3,1	2,15	1,55	1,26	1,26

COPA AMERICA PERU 2004 — ამერიკის თასი 2004. ჯგუფური ტურნირი

			1	X	2	1-X	1-2	X-2
		13 ივლისი						
02.30	015	მექსიკა-ეკვადორი	1,6	3,5	5,0	1,09	1,21	2,05
04.45	016	არგენტინა-ურუგვაი	1,55	3,5	5,6	1,07	1,21	2,15

I ტაიმის შედეგი

		13 ივლისი						
5015		მექსიკა-ეკვადორი	1,9	2,3	5,3	1,04	1,39	1,6
5016		არგენტინა-ურუგვაი	1,8	2,3	6,0	1	1,38	1,66

გაიტანს თუ არა ორივე გუნდი მატჩში გოლს (ძირითადი დრო)

			კი	არა
		13 ივლისი		
5315		მექსიკა-ეკვადორი	1,65	1,95
5316		არგენტინა-ურუგვაი	1,6	2,0

1-ლი ტაიმი/ძირითადი დრო.			1/1	1/X	1/2	X/1	X/X	X/2	2/1	2/X	2/2
		13 ივლისი									
5115		მექსიკა-ეკვადორი	2,2	10,0	20,0	3,5	4,8	8,5	20,0	10,0	7,5
5116		არგენტინა-ურუგვაი	2,1	10,0	20,0	3,5	4,8	9,0	20,0	10,0	8,0

რომელი გუნდი გახსნის მატჩში ანგარიშს

(მატჩის 0-0 დამთავრების შემთხვევაში, ორივე ფსონი ზაგებულად ჩაითვლება)

		13 ივლისი		
5415		მექსიკა-ეკვადორი	1,45	2,8
5416		არგენტინა-ურუგვაი	1,45	2,8

რამდენი გოლი გავა მატჩში. (ძირითადი დრო) (2,5-ზე ნაკლები - 2,5-ზე მეტი)

		13 ივლისი		
5215		მექსიკა-ეკვადორი	1,7	1,9
5216		არგენტინა-ურუგვაი	1,65	1,95

რომელ ტაიმში გავა მეტი გოლი

			I-ში	თანაბრად	II-ში
		13 ივლისი			
5515		მექსიკა-ეკვადორი	3,0	2,8	2,0
5516		არგენტინა-ურუგვაი	3,0	2,8	2,0

შესაძლო ცვლილებები ადგილზე დაგაზუსტეთ

ბრაიკოვიჩმა ხუთი ჩააგდო

მანამდე ხუთი გააგდო

დრაჟენ ბრაიკოვიჩი აქეთ ეროვნულ ნაკრებს ამზადებს იტალიური ტურნირისთვის, იქით „დინამოს“ სატრანსფერო საქმეებსაც უძღვება. ვიცე-ჩემპიონებმა ახლახან ჩვენი ჩემპიონატის ოთხი მოწინავე კალათბურთელი დაითანხმეს კონტრაქტზე, გუშინწინ კი კიდევ ერთი რიგიანი მოთამაშე, „ბასკოს“ ხელჩუბინი გამთამაშებელი ირაკლი ბერიშვილიც შეიმატეს

ვ.ურაგ დოლიძაკვილის ფოტო

დრაჟენ ბრაიკოვიჩი

ქართული კლუბების საერთო გაჭირვების ფონზე დინამოელთა აქტიური სატრანსფერო საქმიანობა, გინდა, არ გინდა, თვალშისაცემია. დინამოელთა გარდა, სადღეისოდ არც ერთ გუნდს არ დაუწყია მომავალი სეზონისთვის სამზადისი. უმრავლესობამ ჯერ ისიც კი არ იცის, ითამაშებს თუ არა ეროვნულ ჩემპიონატში. ამ დროს კი „დინამოს“ ბაზაზე ეროვნული ნაკრების შეკრება მიმდინარეობს და ხანგამოშვებით იმ მოთამაშეთა ვინაობასაც ვიგებთ, რომლებიც რიგრიგობით ირგებენ ბრაიკოვიჩისეული „დინამოს“ მაისურას.

შეგახსენებთ, რომ „დინამომ“ უკვე გაუშვა 5 მოთამაშე. ვანო აბულაძე, ზურაბ ჩუბინიძე, დავით მუშკუდიანი, რამაზ გოგობერიშვილი და ხორვატისგან მრავალგზის ნაქები არჩილ ჟღენტი ბრიკოვიჩმა გუნდიდან დაითხოვა, თქვენს ადგილებზე უკეთესი ბიჭები მყავს შეგულებულიო.

აი, ის ახალწვეულნიც, რომლებმაც ბრაიკოვიჩს მომავალ სეზონში სანატრელი ჩემპიონობა უნდა მოუტანონ: დავით ბერძენიშვილი, შიო ხეცურიანი, ზვიად ბაბიაშვილი, გიორგი ნიკოლაძე და ახლახან შემატებული ირაკლი ბერიშვილი.

„კონტრაქტი ჯერ არ გამიფორმებია. საერთოდაც, ჯერჯერობით არავის გაუფორმებია კონტრაქტი, დინამოელი მხოლოდ სიტყვიერი შეთანხმებით გავხდი. ხელშეკრულებას ალბათ ყველას ერთად გაგვიფორმებენ. ჩემი აზრით, ეს 15 ივლისისთვის მოხდება. 3 აგვისტოს კი „დინამოს“ შეკრება იწყება“ — გვითხრა ფინალურ სერიაში „დინამოს“ სამქულიანებით დამბომბავმა ექსბასკოელმა ირაკლი ბერიშვილმა.

მაშ ასე, „დინამომ“ ხუთკაციანი როქი გააკეთა — ამბობენ, ბრაიკოვიჩის სატრანსფერო საქმიანობა ჯერ არ დასრულებულა, დიღმის ბაზა ძველი შემადგენლობის კიდევ ორმა კალათბურთელმა უნდა დატოვოსო...

ირაკლი პერტაია



ვ.ურაგ დოლიძაკვილის ფოტო

ფინალურ სერიაში ირაკლი ბერიშვილმა დინამოელებს ბევრი სამქულიანი ჩაუგდო

კადეტთა ევროპის ჩემპიონატის შესარჩევი ტურნირი ამალიადა, საბერძნეთი

საქართველო 53:80 ისრაელი

ქართველმა კადეტებმა გუშინ მორიგი მარცხი იწვნიეს, ამჯერად ებრაელებისგან. ეს იყო ბოლო მატჩი საკვალიფიკაციო ჯგუფში, რომელიც პლეი ოფს მიღმა დარჩენილმა გუნდებმა შეადგინეს.

მას შემდეგ, რაც პირველი ჯგუფური ეტაპიდან ვერ გავიდნენ, ქართველებს სხვა ჯგუფებში ჩარჩენილებთან მოუხდათ ბრძოლა A კატეგორიის გუნდებში დასარჩენად. ჰოდა, ჩვენები ისევ ყოფნა-არყოფნის ზღვარზე არიან. ნიკო ჩერქეზიშვილის გუნდმა „სანუგეშო“ ჯგუფში მხოლოდ გერმანიას აჯობა, ხორვატიასთან და ისრაელთან ვერაფერს გახდა და ახლა ბელგიელების დამარცხება სჭირდება, ძლიერთა შორის რომ შეინარჩუნოს ადგილი.

ნაცვლიშვილს საფრანგეთი მიუსაჯეს

არადა, ბორჯომი უნდა...

საქართველოს ნაკრების კაპიტანმა ვახტანგ ნაცვლიშვილმა ფილტვის ოპერაცია გაიკეთა და დღეს-ხვალ დიჟონის კლინიკიდან გამოწერენ. ფრანგმა ექიმებმა ჩინებულად გაართვეს თავი საქმეს და ვატოც უკვე ნელნელა ფეხზე დგება. ფილტვის გაჯანსაღებას ყველაზე მეტად სუფთა ჰაერი უხდება, ვატოც ბორჯომის ხეობაში ყოფნას ნატრობს, მაგრამ... ექიმებმა მას თვითმფრინავით მგზავრობა აუკრძალეს



ვ.ურაგ დოლიძაკვილის ფოტო

— ორი დღეა, რეანიმაციიდან გამომიყვანეს, ხვალ ან ზეგ საავადმყოფოდანაც გამწერენ — გვითხრა გუშინ ვახტანგ ნაცვლიშვილმა, დიჟონის კლინიკაში რომ შევეხმიანეთ — საბედნიეროდ, ოპერაციამ კარგად ჩაიარა და ახლა ყველაფერი ნორმალურადაა.

— ფეხზე როდის გაივლი?

— უკვე შემიძლია წამოდგომა, მაგრამ მკაცრი წოლითი რეჟიმი დამიწესეს, ათასნაირ ვიტამინებს და კერძებს ვჭამ, კარგად გავსუქდები ალბათ.

— თავს როგორ გრძნობ, ფილტვი ამუშავდა?

— არა მიშავს, თუმც ტკივილები ჯერაც მაწუხებს. ამხელა ოპერაცია გადავიტანე და ასე მოკლე დროში ჯერ ვერ გამოვჯანმრთელდები. ფილტვმა უკვე დაიწყო თავისი ფუნქციის შესრულება და მალე ალბათ ჩვეულ რიტმში ჩადგება.

— ჯერ ძალიან ნაადრევია, მაგრამ მოედანს როდის დაუბრუნდები?

— მინიმუმ ერთი თვე რომ ვერ მოვახერხებ, წყალი არ გაუვა. ოპერაციაზე რთული ხომ რეაბილიტაციაა. ჰოდა, გააჩნია, როგორ წავა გაჯანსაღების პროცესი, ფილტვი რამდენად სწრაფად აღიდგენს ფუნქციას. თანაც ამდენ ხანს უმოძრაოდ ყოფნით წონაც მომემატება და კუნთებიც დამისუსტდება. ვარჯიშის თავი რომ მექნება, კარგა ხანი ფორმის აღსადგენად დამჭირდება. თუმც მანამდე შორია, ჯერ ფილტვი უნდა გამომიჯანმრთელდეს.

— სარეაბილიტაციო პერიოდს სად გაატარებ?

— ჩემი ნება რომ იყოს, მანდ ჩამოვიდოდი და სულ ბორჯომის ხეობაში ვიქნებოდი. ფილტვის ყველაზე კარგი მკურნალი ხომ სუფთა ჰაერია, მაგრამ საქართველოში ვერ ჩამოვდივარ, თვითმფრინავით მგზავრობა ამიკრძალეს, არაჯანსაღი ფილტვისთვის სიმაღლე თურმე დამღუპველად მოქმედებს.

ირაკლი პერტაია

ევროლიგა მოსკოვის დროზე გადავიდა

გუშინ მოსკოვში მომავალი ევროლიგის კენჭისყრა გაიმართა. ამ ამბისთვის რუსთა მთავარქალაქი იმიტომ შეირჩა, რომ სწორედ ის მასპინძლობს ევროლიგის მომდევნო გათამაშების ოთხთა ფინალს და გუშინდელი ღონისძიებაც იმ დარბაზში შედგა, სადაც მომავალი წლის გაზაფხულზე ბებერი კონტინენტის უძლიერესი გუნდი გამოვლინდება.

„ნოვი მანეჟში“ ტურნირის მონაწილე გუნდების უფროსობასთან ერთად შეიყარა რუსეთის სპორტული ნაღები — ალექსანდრ ბელოვი, ანდრეი კირილენკო, რა თქმა უნდა, ცსკა-ს პრეზიდენტი ალექსანდრ გომელსკი და ჭადრაკში მსოფლიოს ექსჩემპიონი ანატოლი კარპოვი.

კენჭისყრასთან ერთად ევროლიგის ორგანიზატორებმა გათამაშების ახალი ფორმატი წარმოადგინეს. გუნდებისა და ჯგუფების რაოდენობა არ შეცვლილა, ეგაა, მეორე ჯგუფური ეტაპიდან ოთხთა ფინალში გასასვლელად საპლეიოფო მატჩების გამართვა გახდება საჭირო ორ გამარჯვებამდე.

გათამაშებაში 24 გუნდი ჩაებმება, რომლებიც 3 ჯგუფში გადანაწილდებიან. მეორე ჯგუფურ ეტაპზე გასული 16 გუნდი ოთხ ოთხგუნდა ჯგუფს შეავსებს, ხოლო 8 საუკეთესო ერთმანეთს პლეი ოფში დაეჯახება და გამარჯვებულები მოსკოვში ითამაშებენ ოთხთა ფინალს.

ევროლიგას ორი დებიუტანტი ეყოლება — პოლონური „პროკომი“ და ესპანური „ესტუდიანტესი“...

A ჯგუფი	B ჯგუფი	C ჯგუფი
ესტუდიანტესი (ესპანეთი)	ვილერბანი (საფრანგეთი)	ბენეტონი (იტალია)
სკიპერი (იტალია)	მაკაბი (ისრაელი)	პანათინაიკოსი (საბერძნეთი)
ციბონა (ხორვატია)	აეკ (საბერძნეთი)	ტაუ (ესპანეთი)
პროკომი (პოლონეთი)	ოლიმპია (სლოვენია)	ულქერი (თურქეთი)
რეალი (ესპანეთი)	ბარსელონა (ესპანეთი	პო ორტეზი (საფრანგეთი)
ოლიმპიაკოსი (საბერძნეთი)	ჟალგირისი (ლიტვა)	უნიკახა (ესპანეთი)
ეფესი (თურქეთი)	სიენა (იტალია)	ცსკა (რუსეთი)
	სტავოლინი (იტალია)	სკაილაინერზი (გერმანია)



ალექსანდრე ფოტო

იულია დუბინა



ალექსანდრე ფოტო

მარიამ ქევხიშვილი



ალექსანდრე ფოტო

დავით ილარიანი

ელექტროლიცენზიის დეფიციტი

ზილბერშტეინები: ხვიცები გვარზე

ამ დღეებში ეროვნულმა სტადიონმა საქართველოს ჩემპიონატს უმასპინძლა. თექვსმეტი ქალაქის ცხრამეტი გუნდის მძლეოსანთა შორის იყვნენ ახლახან აზერბაიჯანის ჩემპიონატზე ოლიმპიადის სალიცენზიო ნორმატივის შემსრულებლები მარიამ ქევხიშვილი და იულია დუბინაც.

ყველაზე საინტერესო სწორედ მათი და ლიცენზიისთვის მებრძოლი მორბენლის, დავით ილარიანის გამოსვლა იყო. ილარიანს ათენში მოსახვედრად ბრძოლა ჯერ კიდევ შეუძლია, თუმც საამისოდ ვერც აზერბაიჯანის ჩემპიონატი გამოადგებოდა და ვერც საქართველოსი. სხვა სახეობათაგან განსხვავებით, მცირე დისტანციაზე სირბილი ელექტრონულ სიზუსტეს მოითხოვს. თბილისსა და ბაქოში ელექტრონული მოწყობილობა არ მოიძებნება, თორემ მესამე ოლიმპიური საგზური ალბათ უკვე განაღდებულიც იქნებოდა.

პირველ რიგში სწორედ ილარიანის შედეგზე ვიტყვით. 110 მეტრი თარჯრბენი დავითმა ხელის წამზომით 13,6 წამში დაძლია. ოლიმპიური ნორმატივი 13,72-ია, თუმც უელექტრონიკოდ ამის ნახევარი დროც რომ დაფიქსირებულიყო, ლიცენზიას მაინც ვერავინ მოითხოვდა.

საკმაოდ ადვილად იჩემპიონეს ქევხიშვილმა და დუბინამაც, მაგრამ ბაქოური შედეგი ერთმაც ვერ გაიმეორა. ამის უმთავრეს მიზეზად მძლეოსნობაში ჩახედულმა ხალხმა უამინდობა დაასახელა. ჩემპიონატი ისეთი წვიმით დაიწყო, ერთხანს მისი გაგრძელებაც სათუო გახდა. ამის კვალობაზე, სამმხტომელ იულია დუბინას შედეგმა მოწონება დაიმსახურა. იგი 13,55 მეტრზე გადახტა და კაცების სამეულშიც კი შევიდა. ქალებში კი იულიას კონკურენტი არც ჰყოლია.

18 წლის ბირთვის მკვრელმა მარიამ ქევხიშვილმა 15,71 მეტრით მის მიერ თბილისში ნაჩვენები საუკეთესო შედეგი გაუმჯობესა და მეორეადგილოსან ნინო ელიზბარაშვილს ლამის სამი მეტრით აჯობა.

სხვათაგან განსაკუთრებით გამოსარჩევია 20 წლის დავით ცუცქირიძის წარმატებული გამოსვლა. ამ ბორჯომელ ბიჭს თამამად შეიძლება ეწოდოს ჩემპიონატის აღმოჩენა. 100 და 200 მეტრზეც საუკეთესო იყო (10,5 და 21,6 წამით) და სიგრძეზე ხტომაშიც (6,65 მეტრი). ყურადღება მიიქციეს 16 წლის თბილისელმა მარიამ ინაშვილმა და 20 წლის მარტვილელმა ზურაბ გიგაიამ. პირველმა 100 და 200 მეტრ დისტანციებზე ოქრო-ვერცხლი მოიგო, ხოლო მეორემ ბირთვი და ბადრო კონკურენტეზე ბევრით შორს გადააგდო.

ერთხელაც შეგვახსენა თავი უბერებელმა ზიგმუნდ ზილბერშტეინმა. 38 წლის ახალციხელმა მორბენალმა ცალკე ვერა, მაგრამ შვილებთან ერთად კი იმარჯვა. 4x400 მეტრზე სირბილში ზილბერშტეინების სამეულმა და ალეკო მურჯიკნელმა ჩემპიონობა არავის დაუთმეს. ლუდვიგ და გიგლა ზილბერშტეინებმა 800 და 1500 მეტრ დისტანციებზე ვერცხლი და ბრინჯაოც მოიგეს.

ზიგმუნდ ზილბერშტეინი ტურნირის უხუცესი მონაწილე სულაც არ იყო. ძველმა გვარდიამ ძირითადად ხუთკილომეტრიან გარბენში მოიყარა თავი. ოქრო ზიგმუნდის კბილა ჰამლეტ მამიკონიანს ერგო, ხოლო ბრინჯაო სულაც 51 წლის შალვა ნადირაძეს.

ბირთვისმკვრელთათვის განკუთვნილი სექტორის კუთხეში ვაჟთა შეჯიბრისას ჩემპიონობის ერთ-ერთი უმთავრესი ფავორიტი მამუკა ტულუშიც ტრიალებდა, მაგრამ ბირთვისთვის ხელი არ უხლია. გუშინ იგი იტალიაში, მსოფლიოს ახალგაზრდულ ჩემპიონატზე გაემგზავრა და რომ არ გადაღლილიყო, დასვენება არჩია. იტალიაში ტულუშის გარდა ქევხიშვილიც იასპარეზებს. ტურნირის შესახებ სრული ინფორმაციის მისაღებად მძლეოსნობის ფედერაციის პრეზიდენტ *თამაზ მდინარაძეს* მივმართეთ.

გუშინ დულუბნაშვილის ფოტო

— იტალიურ გროსეტოში, მსოფლიოს ახალგაზრდულ ჩემპიონატზე საქართველოს ღირსებას ორი ბირთვისმკვრელი დაიცავს. მამუკა ტულუში 13 ივლისს დაიწყებს, მარიამ ქევხიშვილი კი 16-ში.

— მათ შანსებს როგორ შეაფასებთ?

— ორივესგან ფინალში გასვლას ველით. ღმერთმა ქნას, იქაც იმარჯვონ.

— ტულუშს არ ჰქონდა ათენის ლიცენზიის მოპოვების შანსი?

— მამუკა მომავალ ოლიმპიელად მიიჩნევა. იგი ჯერ საკმაოდ პატარაა და ბირთვიც, რომლითაც იგი გამოდის, წონით შედარებით მსუბუქია.

— ქევხიშვილისთვის კი ალბათ ტურნირი ოლიმპიადის სამზადისად ითვლება.

— რა თქმა უნდა. იგი საუკეთესო ფორმაში ოლიმპიადისთვის უნდა ჩადგეს. საამისოდ კი სერიოზული მუშაობაა საჭირო.

— აგვისტომდე სხვა საერთაშორისო ტურნირზეც ხომ არ გამოვა?

— არა მგონია. იტალიიდან დაბრუნებული ალბათ უკვე საქართველოს რომელიმე კურორტს მიაშურებს მოსამზადებელი ციკლის გასაგრძელებლად.

— მეორე ლიცენზიანტის, იულია დუბინას გეგმები როგორია?

— მას ალბათ ოდესაში გავუშვებთ სავარჯიშოდ.

— ორი ლიცენზია უკვე გვაქვს. რამდენად რეალურია IAAF-ისგან მესამეს მიღების შანსი?

— გამორიცხულია. საერთაშორისო ფედერაცია ორ ველურ ბარათს მხოლოდ იმ ქვეყნებს აძლევს, რომლებსაც თავისით არც ერთი არა აქვთ მოგებული.

— ესე იგი, მორბენალ დავით ილარიანს მცირე შანსიღა რჩება?

— სალიცენზიო ნორმატივის შესრულება აუცილებლად 30 ივლისამდე ჩატარებულ ტურნირებში უნდა მოხდეს. ახლა სწორედ ასეთ ტურნირებს ვეძებთ.

— გამოჩნდა რამე ვარიანტი?

— ჯერ მხოლოდ ის გავიგეთ, რომ 29 ივლისს ბელარუსში ტარდება ტურნირი, მაგრამ დღეს გვითხრეს, რომ ელექტრონიკასთან დაკავშირებით შექმნიათ პრობლემა. რამდენიმე დღის წინ ჩატარებულ შიდა პირველობაზე ელექტრონულ მოწყობილობას მხოლოდ ერთი დღე უმუშავია. სხვა ვარიანტებსაც ვეძებთ. იმედია, ილარიანს შეჯიბრს გამოვუძებნით.

— ქევხიშვილისა და დუბინას ლიცენზიები IAAF-ს ოფიციალურად ჯერ არ დაუდასტურებია. როდის ჩამოვა ბეჭდიანი ფურცელი?

— დღეს ვესაუბრე საერთაშორისო ფედერაციას და მითხრეს, საბუთები მზადდებაო. როგორც ჩანს, აზერბაიჯანიდან გაგზავნილი შედეგები ჯერ განხილვის სტადიაშია, თუმც ნაკლებად მოსალოდნელია, რამე შეიცვალოს.

ოთარ მაღლაკელიძე

თამაზ მდინარაძე

წარსულზე დარდი შარდს გაჰყვა

CAMPBELLS HALL OF FAME TENNIS CHAMPIONSHIPS
ნიუპორტი. ბალახი. საპრიზო 380 ათასი $

ფინალი

გრეგ რუზედკი (ბრიტანეთი) — ალექსანდრ პოპი (7, გერმანია) 7:6 (7:5), 7:6 (7:2)

31 წლის გრეგ რუზეცკის წლეულს რამდენიმე თვე რომ გაუცდა, ვინძლო თქვენც გახსოვდეთ — მას აკრძალული პრეპარატის, ნანდროლონის მოხმარება ბრალდებოდა და მანამ, სანამ საქმე ბოლომდე გაირკვეოდა, დიდი კორტიდან მოიკვეთა კიდეც.

მერე კი შარდში ჩახედულმა ხალხმა ცხადყო, რომ ნანდროლონი მის ორგანიზმში შეიძლებოდა ლეგალური საკვები დანამატების გზითაც მოხვედრილიყო და გრეგს ისევ მწვანე შუქი აუნთეს.

ოღონდ იძულებითმა უქმობამ მას კვალი მაინც დააჩნია და შებერებულ ბრიტს კიდევ რამდენიმე თვე დასჭირდა სასურველ ფორმაში შესასვლელად. მანამდე კი მან როლანგაროსობის პირველ წრეში ჩაიფლავა, იმავე ეტაპზე იძლია სტელა-არტუობაზეც, ნოტინგემში შარშან მოხვეჭილი ტიტული უკვე მეოთხედფინალშივე დათმო და უიმბლდონზეც მეორე წრიდან გავარდა.

სამაგიეროდ, ყველაფრის ჯავრი მან ნიუპორტულ ბალახზე იყარა, სადაც 1993 წელს კარიერის პირველი ტიტული მოინაგრა და 1994 წლის მერე ჩოგანი აღარ გაექნია.

ამ ტურნირამდე მსოფლიო რეიტინგსიის 110-ე საფეხურზე მდგომმა კუნძულელმა შეჯიბრი ჯიგრიანად, აღმფრენით ჩაატარა და დაძაბულ ფინალში აჯობა უიმბლდონობის მეოთხედფინალისტ ალექსანდრ პოპს.

ეს რუზეცკის მეთოთხმეტე საკარიერო — და 1993 წელს იქვე ნაშოვნ ტიტულს 1997 და 2003 წლებში ნოტინგემში მოხვეჭილსაც თუ მივათვლით — მეოთხე საბალახსაფრო ტიტულია. სხვათა შორის, მოქმედ მეჩოგნეთაგან ბალახზე მისდარად ბევრ, 78 მოგებას ვერავინ დაიკვეხს.

ისე კი, ამ ნიუპორტობამ მის პირად ბიუჯეტს 52 ათასი დოლარიც არგო.

შვედეთისლია პირველობა
ბასტადი. თიხნარი. საპრიზო 375 ათასი €

ნახევარფინალი

ბასტონ გაუდიო (2, არგენტინა) — რობინ სოდერლინგი (შვედეთი) 6:4, 6:2;
მარიანო საბალეტა (8, არგენტინა) — ფერნანდო გონსალესი (6, ჩილე) 6:1, 6:4

ფინალი

საბალეტა — გაუდიო 6:1, 4:6, 7:6 (7:4)

წვიმიანობის გამო ტურნირის განრიგმა ერთი დღით გადმოინაცვლა და ფინალური შეხლაც კვირის მაგიერ გუშინღა ვიხილეთ. შარშანდელმა ჩემპიონმა მარიანო საბალეტამ წლევანდელი როლანგაროსობის მომგებ თვისტომს ტოლი არაფერში დაუდო, კოჭიც არაფერში გაუგორა და კარიერის მესამე ტიტულიც დასტურ დამსახურებლად ირგუნა.

სხვათა შორის, ღია პირველობათა ეპოქაში ბასტადურ თიხნარზე ზედიზედ ორჯერ გაჩემპიონებას მხოლოდ შვედები — ბიორნ ბორგი (1978-79), მატს ვილანდერი (1982-83) და მაგნუს გუსტაფსონი (1991-92) — ახერხებდნენ.

სახელიან შვედებთან გატოლებამ კი საბალეტა 51 400 ევროთი მაღონიერა.



შტეფი და შტეფანი

განდიდებულნი: შტეფი გრაფი და შტეფან ედბერგი

ამ კვირას ჩოგბურთის საერთაშორისო დიდების დარბაზში კიდევ სამი ლეგენდარული მეჩოგნე აღზევდა — ამერიკელი დოროთი, „დოდო“ ჩეინი, ვინაც 1938 წელს გახდა პირველი ამერიკელი, ავსტრალიის ღია პირველობაზე რომ იმბრჯვა, და ჩვენეპოქელნი — გერმანელი შტეფი გრაფი და შვედი შტეფან ედბერგი, რომელნიც ერთობლივად 149 საერთეულო და 28 სლემტიტულს მოიძევენ.

შტეფის წარდგენა მის რვაგზის სლემტიტულოსან არმენოამერიკელ მეუღლე ანდრე აგასის დაევალა და მანაც ეს ამოცანა მისთვის ჩვეული დახვეწილობით შეასრულა.

„როცა ვცდილობდი, მეპოვნა სიტყვები იმ პიროვნების წარსადგენად, ვინც მთელი ჩემი ცხოვრება შეცვალა, მივხვდი, რომ რაღაც ახალი სიტყვები უნდა შემერჩია — ერთდროულად ტევადიც, ლამაზიც და მართალიც საიმისოდ, რათა ზედმიწევნით ზუსტად გამომეხატა ამ, ჩემი უსაყვარლესი ქალის შინაგანი მშვენიერება“ — თქვა ანდრემ.

ამ სიტყვებმა შტეფის ენა დაუბა და მას გარკვეული დრო დასჭირდა, რათა მოზღვავებული ემოციები დაემორჩილებინა — როცა გესმის, თუ რა საოცრად უყვარხართ, თავის შეკავება ყოველთვის ძნელიაო. მერე შეუღლეს კონტრსადღეგრძელოთიც მიუგო: „ჩემი საჩოგბურთო კარიერის უმთავრესი მიღწევა ის არის, რომ მან შენი თავი მაპოვნინა.“

შტეფის აღზევებას ანდრეს გარდა მისი მამა პეტერი, დედა ჰაიდი და ძმა მიხაელიც ესწრებოდნენ.

ჩვენ კი შეგახსენებთ, რომ ა) მას დიდი მუზარადის 22 ტურნირზე უმარჯვია — აქედან ოთხჯერ ავსტრალიის ღია პირველობაზე, ექვსჯერ როლანგაროსზე, შვიდჯერ უიმბლდონზე და ხუთჯერ აშშ-ის ღია პირველობაზე; ბ) ის ერთადერთი მეჩოგნეა, ვისაც სულ მცირე ოთხჯერ მაინც აქვს მოგებული დიდი მუზარადის ოთხივე ტურნირი; გ) 1988 წელს მან სეულის ოლიმპიადის გარდა ოთხივე სლემტურნირი მოიგო, რაიც ქალმეჩოგნეთაგან მის გარდა მხოლოდ ამერიკელ მორინ კონოლისა (1953) და ავსტრალიელ მარგარეტ კორტს (1970) მოჰხერხებიათ.

რაც შეეხება შტეფან ედბერგს, ის მისმა ამაგდარმა მწვრთნელმა ტონი პიკარდმა წარადგინა.

თუკი ვინმეს ამ 38 წლის შვედის დამსახურებათა შესახებ მხოლოდ ყურმოკვრით სმენია, მის გასაგონად მოვიგონოთ, რომ დიდების დარბაზში აღზევება მან დიდი მუზარადის ექვს ტურნირზე გამარჯვების, 72 (არაზედიზედი) კვირის განმავლობაში ამქრის პირველობისა და კიდევ იმის გამოც დაიმსახურა, რომ სხვა შვედ მეჩოგნეებთან ერთად ოთხჯერ იმარჯვა დევისის თასზე.

თავის სეფესიტყვაში ედბერგმა განსაკუთრებული მადლობა უთხრა მის ლეგენდარულ თვისტომ ბიორნ ბორგს — ის ჩემი იდეალი და უმთავრესი შემგულიანებელი იყო.

ისე კი გეტყვით, რომ წლეულს დიდების დარბაზში აღზევების 50-ე წლისთავი იყო და ნიუპორტში ამასთან დაკავშირებით 50-მდე დიდებულმა მოიყარა თავი.

ასეთი ნიჭიერება ერთ ადგილას იშვიათად თუ გროვდებაო, ხუმრობდა ამასთან დაკავშირებით ედბერგი და, დია ღმერთო, არც გაემტყუნებოდა.

ლევან კელაურაძე

ფედერაციის თასი მეოთხედფინალი

ნავრატილოვამ გაიჩალიჩა

ესპანეთი — გერმანია 3:2 (0:2)

ანაბელ მედინა გარიგესი — ელს კალენსი 6:4, 6:0; მარია სანჩეს ლორენსო — კირსტენ ფლიპკენსი 6:3, 6:4; ვირხინია რუანო პასკუალი, მედინა გარიგესი — კალენსი, ფლიპკენსი 6:3, 6:2

პირველ დღეს ელს კალენსთან ძლეული ვირხინია რუანო პასკუალის ნაცვლად ესპანელებმა საერთეულოდ მარია სანჩეს ლორენსო გაამწესეს და მანაც სეტისწაუგებლად დაიმორჩილა 18 წლის კირსტენ ფლიპკენსი. ფლიპკენსისგან გაიმასქნებულმა ანაბელ მედინა გარიგესმა კი ასევე სეტისწაუგებლად იმავ ელს კალენსს მოუგო. მოკლედ — ესპანურმა მდედრიონმა ანგარიშის გათანაბრება შეძლო და შეხლის ბედიც წყვილთა მატჩით გაირკვა. მედინა გარიგესს რუანო პასკუალი შეეჯუფთა და მათ ერთობ იოლად სძლიეს კალენსისა და ფლიპკენსის ბოლომდე დახარჯულ ტანდემს. ამ გოგონათა ცოდვა კიმ კლაისტერსისა და ჟუსტინ ენენ-არდენის ტრავმირებულ კისრებზეა!

იტალია — საფრანგეთი 2:3
(პირველ დღეს — 0:2)

ფრანჩესკა სკიავონე — ამელი მორესმო 6:7 (2:7), 2:6; სილვია ფარინა ელია — ემილი ლუა 6:3, 2:6, 6:2; ტატიანა გარგინი, რობერტა ვინჩი — ტატიანა გოლოვინი, მარი პირსი 6:0, 7:6 (7:5)

ამელი მორესმომ თავისი ზედიზედ მეთორმეტი საფედთასო გამარჯვება მიითვალა და შარშანდელ ჩემპიონებს ნახევარფინალში შეუძღვა. დარჩენილ ორ მატჩს აღარავითარი აზრი არ ჰქონდა და უმოტივაციო სტუმრებს თავი აღარ მოუკლავთ.

ავსტრია — აშშ 4:1 (1:1)

ბარბარა შეტი — ჩანდა რუბინი 6:3, 6:2; ბარბარა შვარცი — ლიზა რეიმონდი 7:6 (7:3), 4:6, 10:8; შეტი, პატრისია ვარტუში — მარტინა ნავრატილოვა, რეიმონდი 6:3, 0:6, 6:0

47 წლის მარტინა ნავრატილოვამ იმდენი ქნა, სანამ თავისი პირველი საფედთასო მარცხი არ გაიჩალიჩა. ეს ლეგენდარული ბანოვანი ამ ტურნირზე 1975 წლიდან გამოდიოდა და აქამდე გამართულ ორმოც საკენტო თუ საწყვილო შეხლაში ერთხელაც არ ძლეულიყო. ახლა კი ამასაც მოვესწარით.

ისე კი, ამ ავსტრო-ამერიკული შეხლის ბედი მასპინძელი ბარბარების — შეტისა და შვარცის ბარაქიანმა გარჯამ გადაწყვიტა. პირველმა უპრობლემოდ დათრგუნა წლეულს თითქმის უთამაშებელი ჩანდა რუბინი, მეორისა და ლიზა რეიმონდის განდაგანამ კი სამ საათს გასტანა.

არგენტინა — რუსეთი 1:4 (1:1)

ხისელა დულკო — ანასტასია მისკინა 1:6, 5:7; მარიანა დიას-ოლივა — ვერა ზვონარიოვა 3:6, 0:6; დულკო, პატრისია ტარაბინი — ელენა ლიხოვცევა, სვეტლანა კუზნეცოვა 2:6, 7:5, 4:6

თუ პირველ დღეს ხისელა დულკოს მიერ სვეტლანა კუზნეცოვას ძლევამ იმის ილუზია შექმნა, რომ რუს ქალებს მაგრად უნდა გასჭირვებოდათ, ანასტასია მისკინას ორმა დამაჯერებელმა მოგებამ მის გუნდს აშლილი ბალანი დაუმშვიდა და ნერვიულობისგან იხსნა. ამის მერე ვერა ზვონარიოვას მარიანა დიას-ოლივას დამარცხება ღადავადაც არ ეყო. ვაგლახ.

პოლონეთის პრეზიდენტის პრიზიც ჩვენია



ბადრი ჯითილაძის ფოტო

იოსებ მაისურაძე

კიდევ ერთი წარმატება იზეიმეს ჩვენმა ახალგაზრდა წყალბურთელებმა, რომლებიც პოლონეთის პრეზიდენტის პრიზზე ვარშავის საერთაშორისო ტურნირში მონაწილეობდნენ.

— ამ შეჯიბრებაზე მხოლოდ ძლიერებს იწვევენ, ჩვენ კი ასეთად აქამდე, ბუნებრივია, არ მიგვიჩნევდნენ. ეს საქმე მეორე მწვრთნელმა ირაკლი კიკალიშვილმა და ვეტერანმა წყალბურთელმა დავით რურუამ თავიანთი პირადი კონტაქტების წყალობით გაჩარხეს — გვითხრა ვარშავაში გამგზავრებამდე საქართველოს წყალბურთელთა ახალგაზრდული ნაკრების უფროსმა მწვრთნელმა იოსებ მაისურაძემ. ისიც დასძინა, ვფიქრობ, ვარშავაში თავს არ შევირცხვენთ, რის მერეც ტურნირის ორგანიზატორები პირადი კონტაქტების გარეშეც სიამოვნებით მიგვიწვევენ და თბილისის მერიის კულტურისა და სპორტის საქმეთა სამსახურის ხელმძღვანელთა მიერ ჩვენდამი გაღებულ ხარჯებსაც გავამართლებთო.

მაისურაძეს იმედები ვარშავაში გაუმართლდა. იქ ჩვენების გარდა გამოდიოდნენ გერმანიის, შვედეთის, ბულგარეთის, ბელარუსისა და მასპინძელი პოლონეთის გუნდები. ჩვენმა წყალბურთელებმა ყველანი დაამარცხეს და პოლონეთის პრეზიდენტის პრიზიც მოიგეს.

ამას გარდა, თორნიკე თოდაძე ტურნირის საუკეთესო მეკარედ აღიარეს, ხოლო ბექა ქენქაძემ ბომბარდირისთვის განკუთვნილი პრიზი დაიმსახურა.

ჩვენს წყალბურთელებს სექტემბერში გასამართი ევროპის ჩემპიონატის ფინალურ მატჩებამდე სტამბოლის საერთაშორისო ტურნირიც ელით, სადაც გაცილებით ძლიერ გუნდებთან დღეში ალბათ ორ-ორი შეხვედრის გამართვა მოუწევთ.

ავთანდილ ჯყვიშელი

ჩემპიონატი გაცოცხლებულა

ბადრი ჯითილაძის ფოტო

ვანო ლექვთაძე

მრავალწლიანი იძულებითი ტაიმ-აუტის შემდეგ, როგორც იქნა, ქართველ მოცურავეებს ჩემპიონატი ელირსათ.

„ლაგუნა ვერეს“ კომპლექსში გამართული ეს ჩემპიონატი ოდინდელ შეჯიბრებებს ვერც მასშტაბებით და ვერც მიღწევებით ვერ შეედრება, მაგრამ უძრაობა ხომ უნდა დამთავრებულიყო.

ასე იყო თუ ისე, ჩემპიონატში 110-მდე მონაწილემ მოიყარა თავი. ისინი თბილისის, ბათუმის, გორისა და რუსთავის წარმომადგენლები იყვნენ. თავის მხრივ, თბილისელთაგან სტარტზე გამოვიდა თბილისის ოლიმპიური მომზადების ცენტრის 60, „ლაგუნა ვერეს“ კომპლექსის აღსაზრდელთა 12, „სპექტრის“ (ტრანსპორტის სამინისტროს) 10 და ოლიმპიური რეზერვების ცენტრის სპორტსკოლის 7 მოცურავე, ამდენივე სპორტსმენი გამოიყვანეს ბათუმელებმა და რუსთაველებმა, ხოლო გორი ხუთი მოცურავით იყო წარმოდგენილი.

შედეგები, რა თქმა უნდა, ძალზე დაბალი იყო. უკეთესს არც არავინ ელოდა, რადგან შეუფერხებლად თბილისშიც ვერ მუშაობს აუზები და, აბა, სხვაგან რა იქნება. ამასთან, ბათუმელებს, რომლებსაც მშვენიერი 50-მეტრიანი საცურაო აუზი ჰქონდათ, უკეთესის აშენების დაპირებით წლების წინათ დაუნგრიეს, დაპირება კი, რაღა თქმა უნდა, დაპირებად დარჩა.

ახლა ბათუმელები რაღაც სარეაბილიტაციო ცენტრის არასტანდარტულ, პატარა დეკორატიულ აუზში ვარჯიშობენ.

როგორც საქართველოს ნაკრების უფროსმა მწვრთნელმა მანანა ზამბახიძემ გვითხრა, ბათუმელები მის მიერვე შეგულიანებული, სპორტში სამსახურ მიტოვებულ და ცურვაში დაბრუნებულ ალექსანდრე ცინცაძის მეთაურობით მეორე წელია, ვარჯიშობენ.

ზამბახიძე ამ შეჯიბრების მერე იმედიანადაა, აი, ნახავთ, უახლოეს წლებში ბათუმელებს რამდენი კარგი მოცურავე გვეყოლებაო.

გორელებს ერთი ნორმალური, 25-მეტრიანი აუზი აქვთ, რომელიც დიდხანს უქმად იყო, მაგრამ ახლა ამუშავდა და თავისი არსებობა ამ ჩემპიონატში იქაური მოცურავეების გამოსვლით შეგვახსენა.

საქართველოს ჩემპიონატში თავი ყველაზე მეტად გამოიჩინა თბილისელმა ვანო ლექვთაძემ (ოლიმპიური მომზადების ცენტრი), რომელმაც პირველად შეასრულა სპორტის ოსტატის ნორმატივები. ეს მან 50 მეტრზე გულაღმა (30,45) და 100 მეტრზე ბრასის სტილით ცურვაში (1.06,9) შეძლო, სადაც ჩემპიონობა იზეიმა. მანვე ოსტატობის კანდიდატის შედეგით გაიმარჯვა 100 მეტრზე თავისუფალი სტილით (53,93) ცურვაში. ხოლო 200 მეტრზე ბრასით (2.30,37) პირველი თანრიგის შედეგით იყო უძლიერესი.

ამ შეჯიბრებაზე შედარებით მაღალი მაჩვენებლები ჰქონდათ ირაკლი რევიშვილსა და ოლეგ ფეიქრიშვილს (ორივე თბილისი), რომლებმაც სპორტის ოსტატის კანდიდატის შედეგები აჩვენეს. პირველმა ასეთი შედეგით გაიმარჯვა 1500 მეტრზე თავისუფალი სტილით ცურვაში (16.34,56), ხოლო მეორემ 100 და 200 მეტრზე გულაღმა ასპარეზობაში (შესაბამისად — 1.00,59 და 2.13,09).

სამწუხაროდ, მათ გარდა ამ ნორმატივს ვერავინ შესწვდა.

გოგონათა შორის თავი ყველაზე მეტად გამოიჩინა სოფო თევდორაძემ, რომელმაც 50 და 100 მეტრზე გულაღმა ცურვაში (შესაბამისად — 33,59, 1.13,4), აგრეთვე 100 მეტრზე თავისუფალი სტილით ასპარეზობაში (1.07,59) I თანრიგის შედეგებით იმარჯვა.

ავთანდილ ჯყვიშელი

მსოფლიოს ჩემპიონატი

ლიბია, ტრიპოლი 18 ივნისი — 13 ივლისი

ფინალი მეექვსე მატჩი

რუსტამ კასიმჯანოვი (უზბეკეთი) — მაიკლ ადამსი (ინგლისი) 0,5:0,5

საერთო ანგარიში 3:3

ინგლისელი უზბეკს ორჯერ დაეწია

ჩემპიონის გამოსავლენად ექვსმატჩიანი საფინალო სერია არ აღმოჩნდა საკმარისი და ოქროს მედალოსნის ვინაობას მეტოქეები დღეს ტაი-ბრეიკებში გაარკვევენ.

ფინალურ სერიაში კი საკმაოდ საინტერესოდ განვითარდა მოვლენები. კასიმჯანოვი ორჯერ იგებდა, თუმც ინგლისელმა ორჯერვე შეძლო ანგარიშის გათანაბრება და საქმე გადათამაშებამდე მიიყვანა. მიუხედავად იმისა, რომ ფინალი იყო და კასიმჯანოვიც კარგად თამაშობდა, სპეციალისტთა უმრავლესობა გაჩემპიონებას მაინც ადამსს უწინასწარმეტყველებდა, მაგრამ როგორც იცით, ასე არ მოხდა და უზბეკმა მორიგი მცირე სენსაცია გამოაცხო. ბოლო მატჩში მას თეთრი ფიგურები ერგო.

კასიმჯანოვმა მე-5 სვლაზე როქი გააკეთა და თეთრების ფლანგის გაძლიერებას შეუდგა. იერიში ადამსმა წამოიწყო. იგი მსუბუქი ფიგურებით მიესია უზბეკის ჯარს. კასიმჯანოვი მტერს მომზადებული დაუხვდა, დაცვაში ყურადღებით ითამაშა, ფიგურები სწორად გაუცვალა ინგლისელს და 27-ე სვლაზე პაიკი მოიგო. ხარისხით წინ გასულმა უზბეკმა ფიგურების გაცვლა გააგრძელა, თან ლაზიერით საკუთარი პაიკების გაყვანასაც შეეცადა, თუმც ერთდროულად ორივე საქმე აღარ გამოუვიდა და 44-ე სვლაზე ინგლისელს მეგობრულად ჩამოართვა ხელი.

ლუმა გეგეჭკორი

რუსტამ კასიმჯანოვი და მაიკლ ადამსი

ჰანსენმა კიტაჯიმა შრეკორდოდ დატოვა

REUTERS ლონგ ბიჩიდან

ბრენდან ჰანსენი

მარკ სპიცი და მაიკლ ფელპსი

ლონგ ბიჩში, ამერიკის მოცურავეთა საოლიმპიადო შესარჩევ შეჯიბრებაზე ბრენდან ჰანსენმა მეორე მსოფლიოს რეკორდიც დაამყარა, ამჯერად 200 მეტრზე ბრასის სტილით — 2.09,04. აქაც, ისე როგორც 100-მეტრიან დისტანციაზე, მან იაპონელ კოსუკე კიტაჯიმას ჩამოართვა რეკორდი.

მაიკლ ფელპსმა, რომელიც 11 სახეობაში ცდილობს გამარჯვებას, 400 მეტრზე კომპლექსური და 200 მეტრზე თავისუფალი სტილით ცურვის შემდეგ 200 მეტრზე ბატერფლაით ასპარეზობაშიც გაიმარჯვა. იგი ამ უკანასკნელ სახეობაში 150 მეტრამდე მსოფლიოს რეკორდის გრაფიკს უსწრებდა, მაგრამ ბოლოს ტემპი შეანელა, თუმცა პირველობა მაინც მოიპოვა. მას ოქროს მედალი თვით მარკ სპიცმა გადასცა, რომლის მიუნხენური რეკორდის გაუმჯობესებასაც ფელპსი ათენში აპირებს, რაც, სულ ცოტა, რვა სახეობაში გამარჯვებას გულისხმობს. დაჯილდოების ცერემონიალის მერე სპიცმა ფელპსს რაღაც ჩასჩურჩულა.

„მე მას ვუთხარი, რომ ნაღდად აქვს შანსი გახდეს ამერიკის გმირი და ამაში წარმატება ვუსურვე“ — თქვა სპიცმა.



REUTERS ნიუსპორტიდან

დიდება და სიყვარული

ცხადია, იცანით უგანთქმულესი მეჩოგნე ოჯახი. შტეფი გრაფი ნიუპორტის ჩოგბურთის დიდების დარბაზში მიიღეს შტეფან ედბერგთან და დოროთი ჩეინისთან ერთად, ანდრე აგასისგან კი ჯილდოდ კოცნა მიიღო. იქვე საჩვენებელ მატჩს ატარებს ბებერი ჯონ მაკინროი, რომელსაც მზისგან იცავს მსაჯი დევიდ ჰაიდონი, აქაოდა, დასიცხულმა ბილწსიტყვაობა არ დაიწყოსო. მაკინროი, მოგეხსენებათ, გინების დიდოსტატია.

REUTERS ნიუსპორტიდან

LIGHT

კალგარიში მიმდინარე როდეოზე დიდი ძიები დიდ ხარებს აჯირითებენ, ბავშვებს კი ლაითი პროგრამა აქვთ. ხუთი წლის მასეო უესლი კრაულერი ცხვარზე ამხედრებულა, და მიაჭენებს. კარგადაც გამოსდის. რომ გაიზრდება, უეჭველად ხარზე გადაჯდება. ეს ჯეელი მთელი წელი ელოდა პამპლონაში ხარების განთქმულ რბოლას. ახლა კი გარბის და ისე იზნიქება, აშკარად ეშინია, ხარმა უკანალზე არ მირქინოსთ.

REUTERS კალგარიდან

REUTERS პამპლონადან

ბრაქელი ბაწელეს

ყველაზე მაღალი ჩინელი, ნბა-ში მოთამაშე იაო მინგი სამშობლოში ჩასულა და ასე ემზადება ამხანაგური მატჩისთვის ჩინეთსა და ბრაზილიას შორის. ამათ გარდა, ტურნირში კანადა და ხორვატია მონაწილეობენ.



REUTERS ბეიჯინგიდან

სარბიელი
სპორტული გაზეთი

გამოიცემა 1990 წლის 28 დეკემბრიდან

გამოდის ორშაბათს, სამშაბათს, ოთხშაბათს, ხუთშაბათს, პარასკევს და შაბათს

გამომცემელი ზურაბ ფოცხვერია
დირექტორი გიორგი ოქრომჭედლიძე
რედაქტორი თამაზ მიგრიაული
რედაქტორის მოადგილე სოსო კოტორეიშვილი
ტექნიკური რედაქტორი მამუკა გუბელაძე
ქართული ფეხბურთის რედაქცია: დავით ერაძე, დავით თავართქილაძე, კობა ინასარიძე, პაატა კვანტალიანი, კახა შალამბერიძე
უცხოური ფეხბურთის რედაქცია: გიო ახვლედიანი, ილია ბაბუნაშვილი, გიორგი დარჯანია, გიორგი ვაშაკიძე, ლადო ხომერიკი, ვაჟა ხუციშვილი

ინფორმაციის რედაქციის რედაქტორი: ირაკლი ფირაშვილი
ინფორმაციის რედაქცია: გია ახალაძე, ავთანდილ გურასაშვილი, ლევან კელაურაძე, ოთარ მაღლაკელიძე, ირაკლი პერტაია
ფოტორეპორტიორები: გურამ ღოლენჯაშვილი, ბადრი კეთილაძე
სტილისტები: ნათელა გიორგობიანი, ლალი გოზალიშვილი
კომპიუტერული ცენტრი: ლია ბესელია, ხათუნა ბუხუნიშვილი, ელენე გელუტაშვილი, რუსუდან ერისთავი, ფატი ღვალიშვილი, მაგდა დოგრაშვილი, ზვიად მოსიაშვილი, თენგიზ ფოფხაძე, თამარ ქინქლაძე, ზურაბ წერეთელი, ირმა ჯიშკარიანი

რედაქციის მისამართი:
თბილისი, ალექსანდრე ყაზბეგის გამზირი 42, II კორპუსი, IV სართული.
საფოსტო მისამართი:
თბილისი — 79, საფოსტო ყუთი 208. ტელეფონი: 39 48 29
ელექტრონული ფოსტა
sarbieli@gol.ge
ელექტრონული ვერსია
http://www.sarbieli.com.ge